



# საქართველოს ფინტექის განვითარების სტრატეგია

კონცეპტუალური დოკუმენტი საჯარო  
კონსულტაციისთვის

## სარჩევი

აბრევიატურები .....	3
შესავალი.....	5
1. სტრატეგიის ხედვა და მიზნები.....	7
1.1. სტრატეგიის ხედვის სამი ძირითადი მიმართულება .....	8
1.2. ფინტექ სტრატეგიის მიზნები .....	11
1.3. ეფექტიანობის ძირითადი ინდიკატორები (KPIs).....	12
2. საქართველოს ფინტექ ეკოსისტემის მიმოხილვა.....	14
2.1. ფინანსური ლანდშაფტის მიწოდების მხარე.....	14
2.2. ფინანსური ლანდშაფტის მოთხოვნის მხარე.....	17
2.3. ფინტექ სექტორის რეგულატორული ლანდშაფტი.....	18
2.4. ფინტექის განვითარების გამოწვევები და შესაძლებლობები .....	22
2.4.1. ხელშემწყობი გარემო ფინტექის განვითარებისთვის .....	22
2.4.2. ფინანსური სექტორის პოლიტიკის ჩარჩო .....	25
2.4.3. საზედამხედველო პოლიტიკის სტრატეგია .....	26
2.4.4. საერთაშორისო თანამშრომლობა.....	28
3. სტრატეგიის იმპლემენტაცია და მართვა.....	30
3.1. ინსტიტუციური მოწყობა და მართვა.....	30
3.2. რეგულირება, ზედამხედველობა და კონტროლი .....	30
3.3. ინფრასტრუქტურა .....	31
3.4. ინოვაციების მხარდაჭერა .....	32
3.5. საერთაშორისო თანამშრომლობა .....	33
შემდგომი ნაბიჯები .....	34

## აბრევიატურები

- ACH** (Automated Clearing House) - ავტომატიზებული კლირინგის სახლი
- AI** (Artificial Intelligence) - ხელოვნური ინტელექტი
- AML** (Anti-Money Laundering) - ფულის გათეთრების საწინააღმდეგო
- API** (Application Programming Interface) - გამოყენებითი პროგრამების ინტერფეისი
- AUM** (Assets under Management) - მართვის ქვეშ მყოფი აქტივები
- BISIH** (Bank for International Settlement Innovation Hub) - საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის ინოვაციების ჰაბი
- B2B2C** (Business-to-Business-to-Consumer) - ბიზნეს-ბიზნეს-მომხმარებელი
- CBDC** (Central Bank Digital Currency) - ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა
- CFT** (Countering the Financing of Terrorism) - ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო
- DFS** (Digital Financial Services) - ციფრული ფინანსური სერვისები
- DGA** (Digital Governance Agency) - ციფრული მმართველობის სააგენტო
- DLT** (Distributed Ledger Technology) - განაწილებული რეესტრის ტექნოლოგია
- ECB** (European Central Bank) - ევროპის ცენტრალური ბანკი
- E-KYC** (Electronic Know Your Customer) - ელექტრონული „იცნობდე შენს კლიენტს“
- EPA** (Electronic Payments Acceptance) - ელექტრონული გადახდების ათვისება
- ESG** (Environmental, Social, and Governance) - გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი
- EU** (European Union) - ევროკავშირი
- FCP** (Financial Consumer Protection) - ფინანსური მომხმარებელთა დაცვა
- FSB** (Financial Stability Board) - ფინანსური სტაბილურობის საბჭო
- GC** (Georgian Card) - ქართული ბარათი
- GDP** (Gross Domestic Product) - მთლიანი შიდა პროდუქტი
- GDPR** (General Data Protection Regulation) - მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია
- GFIN** (Global Financial Innovation Network) - გლობალური ფინანსური ინოვაციების ქსელი
- GITA** (Georgia's Innovation and Technology Agency) - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო
- GCCA** (Georgian Competition and Consumer Agency) - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო
- GPSS** (Georgia Payment and Securities System) - საქართველოს საგადახდო და ფასიანი ქაღალდების სისტემა
- IFC** (International Finance Corporation) - საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
- IMF** (International Monetary Fund) - საერთაშორისო სავალუტო ფონდი
- IoT** (Internet of Things) - ნივთების ინტერნეტი
- IPS** (Instant Payment System) - მყისიერი გადახდების სისტემა

- ISSSG (Insurance State Supervision Service)** - დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
- IT (Information Technology)** - ინფორმაციული ტექნოლოგიები
- KFTC (Korea Financial Telecommunications and Clearings Institute)** - კორეის საფინანსო, სატელეკომუნიკაციო და საკლირინგო ინსტიტუტი
- KPIs (Key Performance Indicators)** - ეფექტიანობის ძირითადი ინდიკატორები
- MC (Middle Corridor)** - შუა დერეფანი
- MFI (Microfinance Organizations)** - მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
- ML (Machine Learning)** - მანქანური სწავლება
- MoESD (Ministry of Economy and Sustainable Development)** - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- MoF (Ministry of Finance)** - ფინანსთა სამინისტრო
- MoJ (Ministry of Justice)** - იუსტიციის სამინისტრო
- MOU (Memoranda of Understanding)** - ურთიერთგაგების მემორანდუმი
- MSMEs (Micro, Small and Medium-sized Enterprises)** - მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმო
- NPS (National Payments System)** - ეროვნული საგადახდო სისტემა
- PISP (Payment Initiation Service Provider)** - გადახდის ინიცირების მომსახურების პროვაიდერი
- PSDA (Public Service Development Agency)** - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
- PSD2 (EU Revised Payment Services Directive)** - საგადახდო მომსახურების შესახებ ევროკავშირის განახლებული დირექტივა
- P2P (Peer-to-peer)** - პირისპირი
- QR code (Quick-Response code)** - სწრაფი რეაგირების კოდი
- RTGS (Real Time Gross Settlement System)** - რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა
- RTP (Request-To-Pay)** - გადახდის მოთხოვნა
- SEPA (Single Euro Payment Area)** - ერთიანი ევრო გადახდების სივრცე
- SME (Small and Medium Enterprise)** - მცირე და საშუალო საწარმო
- SSB (Standard Setting Body)** - სტანდარტის დამდგენი ორგანო
- TPPs (Third Party Provider)** - მესამე მხარის პროვაიდერი
- UFC (United Financial Corporation)** - გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია
- USAID (United States Agency for International Development)** - ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
- VASP (Virtual Asset Service Provider)** - ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი
- VRP (Variable Recurring Payment)** - ცვლადი განმეორებადი გადახდები

## შესავალი

ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინოვაციები ფინანსურ სერვისებში ("ფინტექი")<sup>1</sup> ფინანსური სექტორის განვითარებისთვის უნიკალურ შესაძლებლობას ქმნის. ტექნოლოგიას შეუძლია, დაძლიოს გეოგრაფიული ბარიერები, გაზარდოს ტრანზაქციების სიჩქარე, უსაფრთხოება, გამჭვირვალობა და მომხმარებლებს მათზე უკეთ მორგებული ფინანსური სერვისები შესთავაზოს, რაც ამცირებს ტრანზაქციების ხარჯებს. გარდა ამისა, მონაცემთა ანალიტიკისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) მსგავსი ტექნოლოგიების განვითარება მარეგულირებელ ორგანოებს რისკების უკეთ მართვის საშუალებას აძლევს, რაც ხელს უწყობს ფინანსური სისტემების სტაბილურობას. ფინტექის განვითარება გლობალურად არის გათვალისწინებული სხვადასხვა პოლიტიკაში, რეგულატორულ და საზედამხედველო ჩარჩოში. განვითარებულ თუ განვითარებად ბაზრებსა და ეკონომიკებში ფინტექის გადაწყვეტილებები აუმჯობესებენ ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობას, ზრდიან კონკურენციას და ეფექტიანობას, რითაც სარგებელი მოაქვთ მომხმარებლებისთვის.

**ამავდროულად, ფინტექი წარმოშობს გარკვეულ გამოწვევებს.** რეგულატორებმა და ზედამხედველებმა უნდა დაიცვან ბალანსი სტაბილურობასა და მთლიანობას, კონკურენციასა და ეფექტიანობას, ასევე მომხმარებელთა უსაფრთხოებასა და კონფიდენციალურობას შორის. როდესაც ქვეყანა ფინტექის ათვისებაში პროგრესს აღწევს, სახელმწიფო ორგანოები დგებიან ახალი გამოწვევების წინაშე, რათა უზრუნველყონ საბაზრო შედეგების ძირითად პოლიტიკურ მიზნებთან შესაბამისობა. გარდა ამისა, ფინტექის განვითარება ხშირად დაკავშირებულია სხვადასხვა სექტორსა და რეგულატორულ/საზედამხედველო მანდატთან, რაც ართულებს ინსტიტუციურ თანამშრომლობას. და ბოლოს, გლობალური და დეცენტრალიზებული ბუნება ისეთი განვითარებადი ტექნოლოგიების, როგორებიც არის ციფრული აქტივები და ვალუტები, ასევე წარმოშობს საზღვრებს გარეთ რეგულატორული არბიტრაჟის რისკებსა და კოორდინაციის სირთულეებს.

**საქართველოს ფინტექ ეკოსისტემის განვითარებაში ლიდერის როლს საქართველოს ეროვნული ბანკი ასრულებს.** ეროვნულმა ბანკმა უკვე ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ფინტექისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნისკენ და ინოვაცია თავისი საზედამხედველო სტრატეგიის ერთ-ერთ წამყვან მიმართულებად აქცია. კონკრეტული მიღწევები მოიცავს რეგულატორული ჩარჩოს განვითარებას, რომელიც საგადახდო და საბანკო ბაზრებზე ახალი ფინანსური აქტივობების გამოჩენასა და ახალი მოთამაშეების უსაფრთხო შესვლას უწყობს ხელს. ამისათვის საგადახდო მომსახურების შესახებ ევროკავშირის განახლებული დირექტივის (PSD2) შესაბამისად, საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების კანონში ცვლილებები შევიდა, დაინერგა ციფრული ბანკინგის პრინციპები და სხვა. ეროვნულმა ბანკმა ასევე გააფართოვა თავისი ინსტიტუციური ექსპერტიზა ფინტექ საკითხებზე, შექმნა რეგულირების ლაბორატორია (Regulatory

<sup>1</sup> სტრატეგიის მიზნებისთვის, ფინტექს განვმარტავთ, როგორც ტექნოლოგიურ მიღწევებს, რომელთაც აქვთ ფინანსური სერვისების მიწოდების ტრანსფორმაციის პოტენციალი, რაც იწვევს ახალი ბიზნეს მოდელების, გამოყენების სცენარების, პროცესებისა და პროდუქტების შექმნას. ახალი ტექნოლოგიები ასევე შეიძლება გამოყენებული იყოს არსებულ პროდუქტებზე და/ან წვდომის არხებზე სხვადასხვა კომბინაციით, და ახალი პროდუქტები შეიძლება უბრალოდ იყენებდნენ არსებულ ტექნოლოგიებს ოპტიმიზებული გზით (მაგ., მყისიერი გადახდები). სტრატეგია მიზნად ისახავს ყველა რელევანტური მიღწევის გათვალისწინებას, განსაკუთრებული აქცენტით არატრადიციულ ბიზნეს მოდელებსა და მოთამაშეებზე.

Laboratory/Sandbox), ხელმძღვანელობს ფინანსური ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან რეფორმებს, აქტიურად იკვლევს ცენტრალური ბანკის ციფრულ ვალუტას (CBDC) და უზრუნველყოფს აღნიშნულ აქტივობებში დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას.

**ფინტექის სრული პოტენციალის რეალიზებისთვის საჭიროა ინსტიტუციური მოწყობების გაფართოება და გაძლიერება.** ზოგადად, ფინტექის ინსტიტუციური ჩარჩო ფინანსური სექტორის პოლიტიკის, ზედამხედველობისა და განვითარების დადგენილ პასუხისმგებლობებს ასახავს. ქვეყნის შიგნით ეროვნული ბანკი ხელს შეუწყობს სხვა ფინანსური სექტორის ორგანოებთან, რეგულატორებთან და ციფრული მმართველობის სააგენტოსთან თანამშრომლობას. საერთაშორისო დონეზე კი ეროვნული ბანკი გააგრძელებს გამოცდილების გაზიარებას და გააძლიერებს ძალისხმევას რეგიონალური პოლიტიკის კოორდინაციის ხელშეწყობის მიზნით, რათა საქართველომ მომგებიანად გამოიყენოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობა და რეგიონულ ფინტექ ჰაბად ჩამოყალიბდეს.

ფინტექის განვითარების სტრატეგიის<sup>2</sup> მიზანია, შექმნას ერთიანი ეროვნული ჩარჩო, რომელიც გააძლიერებს თანამშრომლობას შესაბამის საჯარო და კერძო დაინტერესებულ მხარეებს შორის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე, რათა ერთობლივი და კოორდინირებული ძალისხმევა უზრუნველყოს საქართველოში ინტეგრირებული და ინოვაციური ფინტექ ეკოსისტემის ხელშეწყობისთვის.

---

<sup>2</sup> მომზადდა მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით.



# 1. სტრატეგიის ხედვა და მიზნები

საქართველოს ფინტექის განვითარების ხედვა ფინტექისთვის ხელსაყრელი გარემოსა და თანამედროვე ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას გულისხმობს, რაც ფინანსურ სერვისებში პასუხისმგებლიან ინოვაციებსა და კონკურენციას წახალისებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე და დაეხმარება საქართველოს, გახდეს წამყვანი ფინტექ ჰაბი შუა დერეფნის ქვეყნებისთვის.

## ფინტექის განვითარების ხედვა

ფინტექის განვითარების ხედვა ორიენტირებულია ძირითადი ფინტექ-ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფასა და შიდა ბაზარზე შესვლის ბარიერების შემსუბუქებაზე ისეთი პროექტებით, როგორებიცაა ღია ბანკინგი/ფინანსები, „CBDC როგორც ეკოსისტემა“, რეგულირების ლაბორატორია, მყისიერი გადახდების სისტემა და სხვა. გარდა ამისა, მუშავდება „რეგულირების საერთაშორისო ლაბორატორიის“ კონცეფცია, რომელიც მიზნად ისახავს შუა დერეფნის პოტენციალის გამოყენებას ციფრული ეკონომიკის განვითარების მხარდასაჭერად ახალი ფინტექ-ინფრასტრუქტურით და ასევე რეგიონის სხვა ქვეყნების მოტივირებას.

საქართველოში რეგიონული ფინტექ ჰაბის შექმნა განიხილება, როგორც განგრძობითი პროცესი, არათუ როგორც საბოლოო დანიშნულებამდე მიღწევა. შესაბამისად, ფინტექის განვითარებისკენ სტრატეგიული ნაბიჯების გადადგმისა და ძალისხმევის ეფექტურად მიმართვისთვის საქართველო "კეთებით სწავლის" ("learning-by-doing") მიდგომას ეყრდნობა.

## ჰაბის შექმნა პროცესია და არა საბოლოო დანიშნულებამდე მიღწევა

### რა

ფინტექის საშუალებით გაძლიერებული რეგიონული თანამშრომლობა შუა დერეფნის ქვეყნებს შორის, რომელიც თანამედროვე ფინანსური ინფრასტრუქტურის მხარდაჭერას ისახავს მიზნად

### რატომ ახლა

ფინტექის მეშვეობით რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობაში პირველობის უპირატესობის (First Mover Advantage) გამოყენება, რაც საქართველოსთვის შეიძლება, მომგებიანი პოზიციონირება იყოს

### ვინ


ადგილობრივი და უცხოური ფინტექ-კომპანიები და სტარტაპები, რომლებიც ბაზარზე ინოვაციური ფინანსური სერვისებისა და პროდუქტების განვითარება შეეძლება

### როგორ

რეგულატორული თანამშრომლობის გაფართოება საერთო სტანდარტების გარშემო და/ან რეგულატორული ფრაგმენტაციის აღმოფხვრა ინოვაციური მიდგომების გამოყენებით

## 1.1. სტრატეგიის ხედვის სამი ძირითადი მიმართულება

საქართველოს ფინტექის განვითარების ხედვა სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს:



### 01 პროაქტიული მარეგულირებელი პოლიტიკის გატარება

საქართველოს ფინტექ ინიციატივების დანერგვისთვის ხელსაყრელი სამართლებრივი და მარეგულირებელი ეკოსისტემა აქვს. ეროვნულმა ბანკმა შეისწავლა 36 ყველაზე გავრცელებული უცხოური ფინტექ ბიზნეს მოდელი, რათა შეეფასებინა ფინანსური ინიციატივების დანერგვისთვის საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბარიერები სხვა ქვეყნებთან შედარებით. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს კანონმდებლობისა და ეროვნული ბანკის დადგენილებების ფარგლებში ბიზნეს მოდელების 25% ნაწილობრივ ან სრულად შეზღუდულია, ხოლო 75% განხორციელებადია.

<b>პროაქტიული პოლიტიკა:</b> <b>რეგულაციებით მხარდაჭერილი ინიციატივა</b>	
<p><b>რეგულირების ლაბორატორია</b></p> <p>რეგულირებად ფინანსურ სუბიექტებს საშუალებას აძლევს, რეალურ, ზედამხედველის კონტროლირებად გარემოში გამოსცადონ ინიციატიური სერვისები და პროდუქტები</p>	<p><b>დია ბანკინგი/ფინანსები</b></p> <p>დაინერგა 2020 წელს და 2023 წლის მაისიდან ხელმისაწვდომია ყველა რეგულირებადი სუბიექტისთვის შემდეგი სტრატეგიული მიზანი დია ფინანსებზე გადასვლა</p>
<p><b>ინიციატივების ოფისი</b></p> <p>ფინტექ კომპანიებსა და სტარტაპებს ეროვნული ბანკის საზედამხედველო მოთხოვნების შესახებ კონსულტაციებს სთავაზობს</p>	<p><b>ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპები</b></p> <p>შემოღების შემდეგ (2019 წელი) 2024 წლისთვის სამი ციფრული ბანკის ლიცენზირებას ჩაუყარა საფუძველი</p>
<p><b>VASP-ის რეგისტრაციის რეჟიმი</b></p> <p>დაინერგა 2023 წელს და ზედამხედველობს VASP-ების ოპერირებას საქართველოში AML/CFT რეგულაციების დაცვის მიმართულებით</p>	<p><b>გონიერი კონტრაქტების სამართლებრივი ჩარჩო</b></p> <p>USAID-თან თანამშრომლობით ეროვნული ბანკი გონიერი კონტრაქტების მარეგულირებელი და სამართლებრივი ჩარჩოს მომზადების პროექტს ხელმძღვანელობს</p>

ბაზარზე ახალი მოთამაშეების შესვლის ბარიერების შესამცირებლად ეროვნულმა ბანკმა 2019 წელს ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპები შემოიღო. შედეგად, ლიცენზირება უკვე სამმა ციფრულმა ბანკმა გაიარა, მათ შორის ერთი ევროკავშირის ეკონომიკურ ზონასთან შეუფერხებელ



ტრანზაქციებს უზრუნველყოფს, ხოლო მეორე სინგაპურში დაფუძნებული მსოფლიოში პირველი პროგრამირებადი ბანკია. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ბანკები გააუმჯობესებენ საერთაშორისო გადახდებს და გაზრდიან სავაჭრო მოცულობებს.

**ფინტექ სექტორში ინოვაციების მხარდასაჭერად ეროვნულმა ბანკმა 2020 წელს ფინანსური ინოვაციების ოფისი შექმნა**, რომელიც ეროვნული ბანკის მანდატის ფარგლებში რეგულატორული და საზედამხედველო საკითხების შესახებ ფინტექ სტარტაპებსა და კომპანიებს რეკომენდაციებისა და კონსულტაციების მიღების მარტივ გზას სთავაზობს. ფინანსური ინოვაციების ოფისის მისიაა ხელი შეუწყოს პასუხისმგებლიან ინოვაციებს ფინანსურ სექტორში და დაეხმაროს ფინტექ ორგანიზაციებს/სტარტაპებს საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო მიდგომის გაცნობიერებაში.

**2020 წელს ეროვნულმა ბანკმა ასევე რეგულირების ლაბორატორია (სენდბოქსი) შექმნა**, რომელიც ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილებას დაქვემდებარებულ საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს, რეალურ რეჟიმში, ზედამხედველის კონტროლირებად გარემოში გამოსცადონ ინოვაციური სერვისები და პროდუქტები. რეგულირების ლაბორატორიის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ფინტექ სექტორის გაფართოებას ფინანსურ ბაზარზე შესვლის ბარიერების შემცირებითა და საჭირო მარეგულირებელი ცვლილებების იდენტიფიცირებით.

**2020 წლის დასაწყისში ეროვნულმა ბანკმა ღია ბანკინგის პროექტზე დაიწყო მუშაობა. 2023 წლის მაისიდან, ღია ბანკინგი ხელმისაწვდომია ყველა მესამე მხარის პროვაიდერისთვის (TPPs), რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის კრიტერიუმებს.** ღია ბანკინგის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ეროვნულმა ბანკმა ასევე რეგიონში პირველი ღია ბანკინგის ტექნიკური სანდბოქსი შექმნა, სადაც შერჩეული ფინტექ და სხვა არასაბანკო კომპანიები ახალი ღია ბანკინგის API-ებით ექსპერიმენტებს ატარებდნენ. შემდეგი ეტაპი ღია ფინანსების განვითარებაა.

**2023 წელს ეროვნულმა ბანკმა ვირტუალური აქტივების მომსახურების პროვაიდერების (VASP-ები) რეგისტრაციის სავალდებულო რეჟიმი შემოიღო.** ჩარჩო მოიცავს მორგებულ და სათანადო კრიტერიუმებს VASP-ების ადმინისტრატორებისთვის, ფულის გათეთრებისა (AML) და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ (CFT) ზედამხედველობასა და ინსტრუქციების გაცემისა და დამატებითი მოთხოვნების დაწესების უფლებას, რაც ხელს უწყობს ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებული ფინანსური აქტივობების სათანადო ზედამხედველობას.

**გარდა ამისა, USAID-თან თანამშრომლობით, ეროვნული ბანკი გონიერი კონტრაქტების სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარების ინიციატივას ხელმძღვანელობს.** პროექტის მიზანია გონიერი კონტრაქტების ყოვლისმომცველი სამართლებრივი საფუძვლის შექმნა, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს გონიერი კონტრაქტების გამოყენებით განხორციელებულ აქტივობებში ჩართული მხარეების უფლებებს, განსაზღვრავს მოვალეობებს და უზრუნველყოფს არსებულ კანონებთან და რეგულაციებთან მათ თავსებადობის. საბოლოოდ, ეს ხელს შეუწყობს ინოვაციებს ფინანსურ სექტორში, გაზრდის ახალი ტექნოლოგიების მიმართ ნდობას და გააძლიერებს ციფრული ტრანზაქციების უსაფრთხოებას.

## 02

## თანამედროვე ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარება

აღნიშნული მიმართულებით ერთ-ერთი პრიორიტეტი ბლოკჩეინზე დაფუძნებული ფინანსური ინფრასტრუქტურის უპირატესობების იდენტიფიცირება და მათ მეშვეობით არსებული სისტემების ეფექტიანობისა და ეფექტურობის გაზრდაა. კერძოდ, ბლოკჩეინის მნიშვნელოვანი უპირატესობა ე.წ. გაერთიანებული რეესტრის (Unified Ledger) სისტემის უზრუნველყოფაა, რაც სხვადასხვა ტიპის აქტივისა და ტრანზაქციის ერთიან, პროგრამირებად პლატფორმაზე ინტეგრაციას ისახავს მიზნად. აღნიშნული დიზაინი შესაძლოა, საფუძვლად დაედოს საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის (BIS) მიერ შემოთავაზებულ „ფინტერნეტის“ (“Finternet”) კონცეფციას<sup>3</sup>, რომელიც ინტერნეტის მსგავსად სხვადასხვა ფინანსური ეკოსისტემის ურთიერთდაკავშირებას გულისხმობს. შედეგად, მომხმარებლებსა და ბიზნესებს უკეთესი წვდომა ექნებათ თავიანთ საჭიროებებზე მორგებული ფინანსური სერვისებისა და პროდუქტების უფრო ფართო სპექტრზე, რაც მათ საკუთარი ფინანსების მართვის პროცესში მეტ მოქნილობას შესთავაზებს.

**ბოლო წლებში საქართველოს ეროვნული ბანკი ადრეულ ეტაპზევე აქტიურად იკვლევს საცალო CBDC-ს, როგორც პლატფორმას ინოვაციების განსავითარებლად.** 2024 წლის დასაწყისიდან დაიწყო ციფრული ლარის საპილოტე პროგრამა. ექსპერიმენტი ფოკუსირებულია ბლოკჩეინის მოწინავე ფუნქციების ტესტირებაზე, როგორცაა ტოკენიზაცია, პროგრამირებადობა და გონიერი კონტრაქტები. ტოკენიზაცია გულისხმობს ფულისა და სხვა აქტივების ციფრული გამოხატულების შექმნას პროგრამირებად პლატფორმებზე, რაც ამარტივებს ტრანზაქციებს მათი ერთიან სისტემაში ინტეგრაციის გზით. პროგრამირებადობისა და გონიერი კონტრაქტების გამოყენებით ტოკენიზაცია შეუძლია გააძლიეროს ტრანზაქციების ავტომატიზაციას, რაც მათ პოტენციურად უფრო სწრაფს, იაფს და მოსახერხებელს ხდის. გონიერი კონტრაქტები ავტომატურად ასრულებენ წინასწარ განსაზღვრულ მოქმედებებს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, რაც ხელს უწყობს ატომურ ანგარიშსწორებას (Atomic Settlement) – აქტივების უსაფრთხო და მყისიერ გაცვლას, რაც ამცირებს კონტრაგენტის რისკს. გარდა ამისა, გონიერი კონტრაქტების კომპოზიციურობა საშუალებას იძლევა განხორციელდეს რთული ტრანზაქციები მრავალი კომპონენტისა და ინსტრუქციის ერთ კონტრაქტში გაერთიანებით, რითაც შესაძლებელი ხდება აქტივების გაცვლის ახალი მეთოდების დანერგვა.

**მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით, ეროვნული ბანკი მყისიერი გადახდების სისტემის (IPS) დანერგვაზე მუშაობს.** IPS საცალო გადახდების სისტემაა, რომელიც 24/7/365 იმუშავებს და გადახდელის ანგარიშიდან მიმღების ანგარიშზე თანხების მყისიერ გადარიცხვას უზრუნველყოფს. IPS და მისი დამატებითი (overlay) სერვისები საშუალებას მისცემს საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს (PSP-ებს), მათ შორის ფინტექ კომპანიებს, შექმნან ახალი შესაძლებლობები და არხები მომხმარებლებისა და ბიზნესებისთვის გადახდების განხორციელებისათვის, რითაც გაიზრდება საგადახდო სისტემის ეფექტიანობა და ეფექტურობა. გარდა ამისა, როგორც საბანკო, ისე არასაბანკო PSP-ები მიიღებენ პირდაპირ წვდომას ახალ სისტემაზე, რაც გააძლიერებს კონკურენციას საცალო გადახდების ბაზარზე და მომხმარებლებს შეუფერხებელ, უფრო სწრაფ ციფრული გადახდების შესაძლებლობებს შესთავაზებს.

<sup>3</sup> იხილეთ BIS, “Finternet: the financial system for the future”, აპრილი 2024.

**2022 წელს ეროვნულმა ბანკმა ოფიციალურად შეიტანა განაცხადი ერთიანი ევრო გადახდების სივრცის (SEPA) წევრობაზე.** ეს გააძლიერებს საქართველოს ფინანსურ კავშირებს და მის, როგორც შუა დერეფნის ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის მნიშვნელოვანი ტრანზაქციული პუნქტის როლს.

## 03

**„საქართველოს მიღმა“ ფინტექ ეკოსისტემის ხელშეწყობა**

**ბოლო წლებში საქართველომ რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე ტექნოლოგიურად განვითარებული ფინანსური სისტემა შექმნა.** წამყვანი ქართული საბანკო ჯგუფები რეგიონულად ფართოვდებიან: თიბისი ჯგუფმა უზბეკეთში პირველი ციფრული ბანკი გახსნა, ხოლო საქართველოს ბანკის ჯგუფმა სომხეთში უმსხვილესი ბანკი შეიძინა. ხსენებული ბანკების შესაძლებლობა, მოქნილად ინტეგრირდნენ ახალ ბაზრებში, ხაზს უსვამს მათი ტექნოლოგიებისა და სერვისების ინოვაციურ ბუნებას, რომლებიც მათ საბანკო ექსპერტიზასთან ერთად საზღვარგარეთ გააქვთ. ორივე საბანკო ჯგუფი ასევე წარმოდგენილია ლონდონის საფონდო ბირჟაზე, რაც მათ სანდოობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

**ვინაიდან საქართველო მცირე, ღია ეკონომიკაა, მას ჯერ კიდევ არ აქვს საკმარისი საბაზრო პოტენციალი ქვეყნის შიგნით მასშტაბირებისთვის. ამიტომ აქცენტი კეთდება ბიზნეს მოდელებზე, რომლებიც ხაზს უსვამს საერთაშორისო თანამშრომლობას.** სწორედ ამიტომ საქართველოს ეროვნული ბანკი მონაწილეობს BIS-ის ინოვაციების ჰაბის პროექტ mBridge -ში, რომლის მიზანი საბითუმო CBDC-ების მეშვეობით ცენტრალურ და კომერციულ ბანკებს შორის საერთაშორისო სავაჭრო კავშირების გაძლიერებაა. ეროვნული ბანკი mBridge-ს შუა დერეფნის გასწვრივ ციფრული ფინანსური სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების გზით ვაჭრობის ზრდის დაჩქარებისა და არსებული საერთაშორისო საგადახდო სისტემებისთვის დამახასიათებელი შედარებით დაბალი ეფექტიანობის ზრდის პერსპექტიულ შესაძლებლობად მიიჩნევს. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი მიზნად ისახავს დამკვირვებლის სტატუსით შეუერთდეს BIS-ის პროექტ Aperta -ს, რომელიც მიზნად ისახავს გლობალური ფინანსური შეზღუდვებისა და ხარჯების შემცირებას ღია ფინანსურ ეკოსისტემებში ურთიერთთავსებადი API-ების დაკავშირების გზით.

## 1.2. ფინტექ სტრატეგიის მიზნები

სტრატეგია შემდეგი ექვსი მიზნის მიღწევას ითვალისწინებს:

## 01

**საქართველოს ციფრული ეკონომიკის მხარდაჭერა უსაფრთხო, საიმედო, სწრაფი და მოსახერხებელი გადახდის სერვისების მეშვეობით.** ეს მიზანი მოიაზრებს სწრაფი გადახდების ხელშეწყობას ტრანზაქციის არხებისა და გამოყენების სცენარების ფართო სპექტრზე, მათ შორის point of interaction-სა (POI - ტრანზაქციის განსახორციელებლად გამოყენებული მოწყობილობა/სისტემა) და დიდი მოცულობის განმეორებად გადახდებზე, ასევე მესამე პირთა გადახდის ინიცირებაზე ღია ბანკინგის მონაწილეობით.

ინოვაციების გამოყენება მიკრო, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესების (MSME) ფინანსური გაპის შემცირებისა და ფინანსურ სერვისებზე არასაკმარისი ხელმისაწვდომობის მქონე სეგმენტების (მაგ. ფულადი გზავნილების მიმღებები) საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის. აღნიშნული მოიცავს აქტივებზე დაფუძნებული დაფინანსების მეთოდების წახალისებას და ალტერნატიული დაფინანსების მოდელის შესწავლას, ასევე ღია ფინანსების ხელშეწყობას ინფორმაციული ასიმეტრიულობის შესამცირებლად და საკრედიტო გადაწყვეტილებების გასაუმჯობესებლად.

02

03

ფინანსური მომსახურების ბაზარზე ახალი მოთამაშეების ჩართულობის ზრდა და კონკურენციის ხელშეწყობა. მარეგულირებელი ბარიერების მოხსნაზე ორიენტირებულ რეფორმებზე დაყრდნობით, ეს მიზანი გულისხმობს საკვანძო ინფრასტრუქტურებსა და მონაცემებზე წვდომის უზრუნველყოფას, ასევე პლატფორმის მოდელის მეშვეობით კონკურენციის გაძლიერებას.

რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობა ფინტექ საკითხებზე რეგულაციური ჰარმონიზაციისა და ტექნიკური სტანდარტიზაციის წასახალისებლად, საერთაშორისო გადახდების გასაუმჯობესებლად და ეფექტური კოოპერაციული ზედამხედველობის უზრუნველყოფის პარალელურად, ინოვაციური სერვისების საზღვრებს შორის მიწოდების გასამარტივებლად.

04

05

შუა დერეფნის კონცეფციის მხარდაჭერა საერთაშორისო ვაჭრობისა და ელექტრონული კომერციისთვის ინოვაციური ფინანსური სერვისების ხელშეწყობით.

საქართველოში ფინტექის გამოყენების სცენარების მოზიდვა, რაც გაზრდის ფინტექ ეკოსისტემასა და ტალანტს და დადებითად აისახება საქართველოს, როგორც რეგიონული ფინტექ ჰაბის, საერთაშორისო პროფილზე.

06

### 1.3. ეფექტიანობის ძირითადი ინდიკატორები (KPIs)

სტრატეგიის ხედვისა და მიზნების განხორციელების პროგრესი შეფასდება შემდეგი წინასწარ განსაზღვრული KPI-ების გამოყენებით:

- სწრაფი გადახდების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე
- ფინტექ გადაწყვეტილებებით განხორციელებული ახალი დაფინანსების საერთო მოცულობა
- საერთაშორისო საცალო გადახდებისა და ფულადი გზავნილების ხარჯი (ანგარიშსწორების ოდენობის პროცენტული წილი)
- უცხოურ ცენტრალურ ბანკებთან/რეგულატორებთან/ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმების/თანამშრომლობის შეთანხმებების რაოდენობა
- საქართველოს ბაზარზე მომუშავე ფინტექ კომპანიების რაოდენობა

- საქართველოში მოზიდული ფინტექ კომპანიების რაოდენობა
- საქართველოდან მომუშავე ფინტექ კომპანიების რაოდენობა
- ფინტექ საქმიანობებში ინვესტიციის ზრდა
- ფინტექ სტარტაპების რაოდენობის ზრდა
- ფინტექის სფეროში შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა



## 2. საქართველოს ფინტექ ეკოსისტემის მიმოხილვა

საქართველოში ბოლო წლებში ფინტექთან დაკავშირებული აქტივობების მდგრადი ზრდა შეინიშნება. საქართველოს ფინტექ ასოციაციას დაახლოებით 30 წევრი ჰყავს. ფინტექის განვითარება საქართველოში ძირითადად გადახდებზეა ფოკუსირებული. ბაზარზე რამდენიმე ელექტრონული ფულის პროვაიდერი მოქმედებს, თუმცა მათი წილი საბარათე ტრანზაქციებში მცირეა. მიუხედავად იმისა, რომ ღია ბანკინგის რეჟიმი მოქმედებს, 2024 წლის ივლისის მდგომარეობით, მხოლოდ ერთი ლიცენზირებული გადახდის ინიცირების სერვისის პროვაიდერია (PISP) რეგისტრირებული და სამ მათგანს ოფიციალურად ჰქონდა შეტანილი განაცხადი. ასევე შეზღუდულია QR-კოდით გადახდის შესაძლებლობა. 2023 წელს ციფრული ბანკი ლიცენზიის შემოღების შემდეგ, სამმა ციფრულმა ბანკმა მიიღო ლიცენზია. ისინი ფოკუსირებულნი არიან სპეციალიზებულ სერვისებზე/კონკრეტულ სეგმენტებზე (მაგ., საზღვარგარეთ გადახდები, B2B2C სერვისები). ფინტექს ჯერ არ შეუღწევია ფაქტორინგის/რევერსული ფაქტორინგის ან ალტერნატიული დაფინანსების მოდელებში.<sup>4</sup> ამის საპირისპიროდ, საკმაოდ აქტიურად მოქმედებენ კრიპტოაქტივებთან დაკავშირებული სერვისებით/საქმიანობით დაკავებული სუბიექტები: 2024 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, 19 VASP-ია დარეგისტრირებული.<sup>5</sup> დასასრულს, ფინტექ ასოციაცია აღნიშნავს რეგულაციის გადაწყვეტილებების არსებობას ელექტრონული KYC-ისა და აუთენტიფიკაციის სფეროში.

### 2.1. ფინანსური ლანდშაფტის მიწოდების მხარე

#### ბანკებზე ორიენტირებული ფინანსური სექტორი მაღალი კონცენტრაციით

- 2023 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით, საბანკო სექტორის აქტივები ფინანსური სექტორის მთლიანი აქტივების **90.3%-ს** და 2024 წლის მეორე კვარტლისთვის საქართველოს მშპ-ს **102.6%-ს** შეადგენს.
- ორი უმსხვილესი ბანკი მთლიანი საბანკო აქტივების **სამ მეოთხედზე მეტს** აკონტროლებს.


#### კაპიტალის ბაზარი

მიუხედავად ბოლო წლების მნიშვნელოვანი პროგრესისა, კაპიტალის ბაზარი მცირეა: საფონდო ბირჟის მთლიანი კაპიტალიზაცია **6 მილიარდი ლარია**, კორპორატიული ობლიგაციების ბაზრის კი **2 მილიარდი ლარი**.

#### ფინტექ აქტივობები

- 17 კომერციული ბანკიდან **3 სრულად ციფრულია**.
- 2024 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, **19 VASP-ია** რეგისტრირებული.

#### ციფრული ბანკების სტატისტიკა



საქართველოს ფინანსური სექტორი საშუალო ზომისაა და მისი ძირითადი ნაწილი კომერციულ ბანკებზე მოდის. 2023 წლის ბოლოსთვის საბანკო სექტორის აქტივები საქართველოს მთლიანი ფინანსური სექტორის აქტივების 90.3%-ს შეადგენდა, ხოლო 2024 წლის მეორე კვარტლის

<sup>4</sup> ეროვნული ბანკის მიერ პასუხისმგებლიანი დაკრედიტების რეგულაციების შემოღებამდე, საქართველოში გავრცელებული იყო არარეგულირებადი სასესხო პლატფორმების საქმიანობა. ამ სუბიექტების უმეტესობა არ იყო დაფუძნებული საქართველოში და ოპერირებდა აგენტების მეშვეობით, თანხებს კი რეგიონის ქვეყნებიდან იზიდავდა.

<sup>5</sup> წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



მონაცემებით ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 102.6%-ს.<sup>6</sup> ბანკებს წამყვანი როლი აქვთ საქართველოში ციფრული ფინანსური სერვისების (DFS) მიწოდებაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ბანკების როლი მნიშვნელოვანი იყო საგადახდო ანგარიშებზე წვდომის ზრდისა და საბარათე გადახდების მასობრივად გავრცელებაში. მომხმარებლის გამოცდილება არის ბანკების მთავარი კონკურენტული უპირატესობა, რამაც ბოლო დროს ბანკებს ყოვლისმომცველი საბანკო აპლიკაციების/ციფრული ეკოსისტემების განვითარებაზე ფოკუსირებისკენ უბიძგა. პარალელურად, ბანკები თანამშრომლობენ ფინტექ კომპანიებთან ინოვაციური პროდუქტების/სერვისების შესაქმნელად. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიც აქტიურად ახდენენ თავიანთი შიდა ოპერაციების ციფრულ ტრანსფორმაციას და ტრანზაქციებისთვის ციფრულ არხებს ნერგავენ. დაზღვევის სფეროში გაყიდვების და აქტივების მართვა საკმაოდ გაციფრულებულია. ამის საპირისპიროდ, კაპიტალის ბაზარზე ფინტექის განვითარება თითქმის არ შეინიშნება.

**საქართველოს საბანკო სექტორი მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება.** ქვეყანაში 17 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს, ყველა კერძო საკუთრებაში, რომელთაგან სამი სრულად ციფრული ბანკია. ორი უმსხვილესი საბანკო ჯგუფის აქტივები, რომლებიც ლონდონის საფონდო ბირჟაზე არიან წარმოდგენილი, ახლა მთლიანი აქტივების სამ მეოთხედზე მეტს შეადგენს. კონცენტრაცია განსაკუთრებით მაღალია სოფლებში, სადაც მხოლოდ რამდენიმე ბანკი ემსახურება მომხმარებლებს. უმსხვილესი ბანკები უფრო ფართო ეკონომიკური ჯგუფების ნაწილს წარმოადგენენ, რომლებშიც შედის სადაზღვევო კომპანიები, საკრედიტო ბიურო, საფონდო ბირჟა, ელექტრონული კომერციის პლატფორმები და სხვა.

**არასაბანკო ფინანსური სექტორი გაცილებით მცირეა, ვიდრე საბანკო სექტორი.** 2024 წლის აგვისტოს მდგომარეობით, არასაბანკო ფინანსურ სექტორს შეადგენს: 1 არასაბანკო სადეპოზიტო ინსტიტუტი, 34 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, 162 სესხის გამცემი სუბიექტი, 720 სავალუტო ჯიხური, 18 სადაზღვევო კომპანია, 4 საპენსიო სქემა და 2 საფონდო ბირჟა. ასევე 2024 წლის ოქტომბრის მონაცემებით, 32 ლიცენზირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერია (PSP) რეგისტრირებული. მიუხედავად მცირე ზომისა, კაპიტალის ბაზარი მნიშვნელოვნად გაიზარდა, განსაკუთრებით კორპორატიული ობლიგაციების ბაზრის მხარეს. 2023 წლის ბოლოსთვის კორპორატიული ობლიგაციების ბაზარი გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით 2.2-ჯერ გაიზარდა და 1.9 მილიარდ ლარს (დაახლოებით 0.7 მილიარდი აშშ დოლარი) მიაღწია, რაც მშპ-ს 2.4%-ს შეადგენს.<sup>7</sup> საფონდო ბაზრის მთლიანი კაპიტალიზაცია 6 მილიარდ ლარს (დაახლოებით 2.2 მილიარდი აშშ დოლარი) შეადგენს.<sup>8</sup> სადაზღვევო კომპანიები ძირითადად ფოკუსირებულნი არიან ჯანმრთელობის, ქონებისა და უბედური შემთხვევების, ასევე საკრედიტო რისკების დაზღვევაზე.<sup>9</sup> მცირეა სიცოცხლის დაზღვევის ბაზარიც.

**საქართველოს ეროვნული საგადახდო სისტემა (NPS) ეფუძნება ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ და მის მიერ მართულ საქართველოს საგადახდო და ფასიანი ქაღალდების სისტემას (GPSS); ეროვნული ბანკის IPS, რომელიც ამჟამად შემუშავების პროცესშია, სავარაუდოდ, 2026 წელს ამოქმედდება. GPSS არის ჰიბრიდული სისტემა, რომელსაც ფლობს და მართავს ეროვნული ბანკი. იგი აერთიანებს რეალურ დროში ანგარიშსწორების სისტემის (RTGS) ფუნქციონალს ავტომატიზებულ საკლირინგო პალატასთან (ACH - ამუშავებს გადავადებულ საკრედიტო**

<sup>6</sup> წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

<sup>7</sup> წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

<sup>8</sup> 2024 წლის აგვისტოს მდგომარეობით; წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟა.

<sup>9</sup> საქართველოში ბევრი კომერციული ბანკი სადაზღვევო კომპანიას ფლობს.

გადარიცხვებს). RTGS უზრუნველყოფს ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული მსხვილი გადახდების და მთავრობის, ეროვნული ბანკისა და კერძო ფასიანი ქაღალდების ტრანზაქციების ფულადი ნაწილის უსაფრთხო და ეფექტურ ანგარიშსწორებას. RTGS სისტემის მონაწილეები არიან ყველა კომერციული ბანკი, ეროვნული ბანკი და ხაზინა. ACH ამუშავებს და ახორციელებს ბანკთაშორის საკრედიტო გადარიცხვებს რეალურ დროში RTGS-ის საფუძველზე. ორი კონკურენტი საბარათე სისტემა - ჯორჯიან ქარდი (GC) და გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია (UFC) - ამუშავებს ადგილობრივ საბარათე ტრანზაქციებს წევრ ბანკებს შორის და ეკუთვნის ბანკების შვილობილ კომპანიებს. გარდა ამისა, ტრანზაქციების დამუშავების ორი შიდა ცენტრი ფუნქციონირებს, რომლებიც ლიბერთი ბანკსა და ქართუ ბანკს ეკუთვნის. 2022 წლის სექტემბერში ეროვნულმა ბანკმა SEPA-ს წევრობაზე შეიტანა განაცხადი.

**საქართველოში საკრედიტო ინფრასტრუქტურის რეფორმები მიმდინარეობს.** ბოლოდროინდელი რეფორმები მოიცავს საკრედიტო ანგარიშგების სისტემის მარეგულირებელი და საზედამხედველო ჩარჩოს შექმნას (2019). აღნიშნული ცვლილებებით საკრედიტო საინფორმაციო ბიურო ეროვნული ბანკის რეგულირების ქვეშ მოექცა. ეროვნულმა ბანკმა ასევე შექმნა საკრედიტო რეესტრი (2021) და შემოიღო საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს პლატფორმების რეგულირება<sup>10</sup> (2022). ონლაინ შეტყობინებაზე დაფუძნებული კოლატერალის რეესტრი იშვიათად გამოიყენება, რადგან ფინანსური ინსტიტუტები უპირატესობას კონტრაქტების რეგისტრაციას ანიჭებენ. მთავრობამ უზრუნველყოფილი გარიგებების ყოვლისმომცველი რეფორმა წამოიწყო; სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ზოგადი რეჟიმის რეფორმის გარდა, ხელისუფლება მუშაობს ისეთ რეფორმებზეც, რომლებიც აქტივების/პროდუქტების კონკრეტულ ტიპებს უკავშირდება, მათ შორის ფაქტორინგს, ლიზინგს და მოსავლისა და საწყობის ქვითრებს.

<sup>10</sup> საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს პლატფორმა არის სამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც აგროვებს, ამუშავებს და გასცემს საკრედიტო ინფორმაციას. პლატფორმა არ ინახავს საკრედიტო ინფორმაციას და არც სავალდებულო წესით აგროვებს ინფორმაციას სესხის გამცემი სუბიექტებისგან. პლატფორმას უფლება აქვს, მიიღოს საკრედიტო, არასაკრედიტო ინფორმაცია და/ან სხვა შესაბამისი მონაცემები პირის შესახებ საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსგან მონაცემთა სუბიექტის თანხმობით.

## 2.2. ფინანსური ლანდშაფტის მოთხოვნის მხარე

### ანგარიშზე წვდომა


- Global Findex-ზე დაყრდნობით, ანგარიშზე წვდომის მქონე ზრდასრული მოსახლეობის წილი 2017-2021 წლებში **61,2%-იდან 70,5%-მდე გაიზარდა.**
- 2023 წლისთვის 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის **91%-ს** ჰქონდა მინიმუმ ერთი გადახდის ანგარიში კომერციულ ბანკში.

### ციფრული გადახდები

- Global Findex-ის მიხედვით, ზრდასრული მოსახლეობის წილი, რომელიც ციფრულ გადახდებს იყენებს, **2014 წლის 24%-იანი მაჩვენებლიდან 2021 წელს 62%-მდე გაიზარდა.**
- საგადახდო ბარათები ყველაზე ხშირად გამოიყენება ელექტრონული გადახდებისთვის.
- Visa-ს მიხედვით, საქართველო გლობალურად ლიდერობს უკონტაქტო გადახდების გავრცელების მხრივ.
- ნაღდი ფული კვლავ ფართოდ გამოიყენება მაღაზიებში და კომუნალური გადასახადებისთვის, განსაკუთრებით სოფლებში და მცირე ზომის მეწარმეების მიერ.

### ფინანსებზე წვდომა MSME-ებისთვის

MSME-ების დაფინანსების გაბა **68%-ია**, რაც ოდნავ აღემატება რეგიონულ საშუალო მაჩვენებელს (**60.3%**).



წყარო: SME Finance Forum

საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ანგარიშების გავრცელების მხრივ. Global Findex-ის მონაცემებით, 2021 წელს საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის 70.5%-ს ჰქონდა წვდომა საგადახდო ანგარიშზე, რაც 2017 წლის 61.2%-იან მაჩვენებელთან შედარებით საკმაოდ გაზრდილი.<sup>11</sup> 2023 წელს კი 15 წელს ზემოთ მოსახლეობის 91%-ს, ანუ 2,695,003 ადამიანს, მინიმუმ ერთი საგადახდო ანგარიში ჰქონდა კომერციულ ბანკში.<sup>12</sup>

საქართველოში ციფრული გადახდები მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა დაბალი საბაზისო მაჩვენებლიდან, რაც ძირითადად საგადახდო ბარათების ზრდამ განაპირობა. Global Findex-ის მონაცემებზე დაყრდნობით, ზრდასრული მოსახლეობის წილი, რომელიც ციფრულ გადახდებს იყენებს, 2014 წლის 24%-იანი მაჩვენებლიდან 2021 წელს 62%-მდე გაიზარდა. საგადახდო ბარათები ყველაზე გავრცელებული ელექტრონული გადახდის ინსტრუმენტია. ბანკებმა მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელეს უკონტაქტო გადახდების განვითარების მიზნით. Visa-ს მონაცემებით, საქართველო პირველ ადგილზეა მსოფლიოში უკონტაქტო გადახდების გავრცელების მხრივ. უკონტაქტო ინფრასტრუქტურის საფუძველზე, საქართველოში დაინერგა ახალი, ტოკენიზაციაზე დაფუძნებული საგადახდო სერვისები, როგორცაა Apple Pay. მიუხედავად ამ მიღწევებისა, ნაღდი ფული კვლავ ფართოდ გამოიყენება სავაჭრო პუნქტებსა და კომუნალური გადახდებისთვის. მსოფლიო ბანკის მიერ 2022 წელს ჩატარებულმა ელექტრონული გადახდების ათვისების კვლევამ (Electronic Payment Acceptance Survey) აჩვენა, რომ ნაღდი ანგარიშსწორება უფრო ხშირად სოფლებში და მიკრო და მცირე მეწარმეების მიერ გამოიყენება.

შინამეურნეობებისთვის სესხის ხელმისაწვდომობა ძირითად შეზღუდვად არ განიხილება. სამომხმარებლო სესხების ზრდა ბოლო წლებში ოდნავ შემცირდა, სავარაუდოდ, არაპასუხისმგებლიანი დაკრედიტების შემცირებისა და შინამეურნეობების ჭარბვალაიანობის

<sup>11</sup> Global Findex Database-ის მონაცემები ქვეყნის მონაცემები ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.worldbank.org/en/publication/globalindex/Data>

<sup>12</sup> IMF, ფინანსური ხელმისაწვდომობის კვლევა (Financial Access Survey), ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://data.imf.org/?sk=e5dcab7e-a5ca-4892-a6ea-598b5463a34c&sid=1390030341854>

რისკების მიტიგაციისთვის ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული პოლიტიკისა და ეკონომიკაზე COVID-19 პანდემიით გამოწვეული ნეგატიური ეფექტების გამო. Global Findex-ის მონაცემებზე დაყრდნობით, მსესხებელთა (ნებისმიერი წყაროდან) წილი, 2021 წელს 2017 წელთან შედარებით 44,9%-დან 40,3%-მდე შემცირდა, ხოლო ზრდასრულთა წილმა, რომლებიც სესხს რეგულირებადი ფინანსური ინსტიტუტებიდან იღებენ, 2021 წელს 24,2% შეადგინა.

**ფინანსებზე არასაკმარისი წვდომა MSME-ების ზრდისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.** საქართველოში MSME-ების ფორმალური დაფინანსების გაპი (68%) მხოლოდ ოდნავ აღემატება ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის საშუალო მაჩვენებელს (60.3%). მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში გაიზარდა წვდომა საბანკო სესხებზე, საკრედიტო ხაზებსა და დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებზე. 2023 წლის იანვრიდან 2024 წლის აგვისტომდე პერიოდში 19 ემიტენტმა მიმართა ობლიგაციების ბაზარს - მათგან ოთხი შეიძლება, კლასიფიცირდეს მცირე საწარმოდ (12 მილიონ ლარზე ნაკლები შემოსავლით), ხოლო ხუთი - საშუალო ზომის საწარმოდ (60 მილიონ ლარზე ნაკლები შემოსავლით). სულ გამოშვებული იქნა 315 მილიონი ლარის ობლიგაციები.<sup>13</sup>

### 2.3. ფინტექ სექტორის რეგულატორული ლანდშაფტი

საქართველოს ეროვნული ბანკი ასუბსიმგებელია ფინანსური სექტორის ზედამხედველობაზე, გარდა დაზღვევისა<sup>14</sup> და ლიზინგისა.<sup>15</sup> ეროვნული ბანკი ზედამხედველობას უწევს ბანკებს, არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებსა და ფასიანი ქაღალდების ბაზარს პრუდენციული (მათ შორის ფულის გათეთრებისა (AML) და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (CFT)) და ბაზრის ქცევის პერსპექტივიდან და პასუხისმგებელია მომხმარებლის ფინანსური დაცულობაზე. 2023 წლიდან ეროვნული ბანკი ზედამხედველობს VASP-ებს AML/CFT პერსპექტივიდან. ეროვნული ბანკი ასევე პასუხისმგებელია ეროვნული საგადახდო სისტემის (NPS) უსაფრთხოებასა და ეფექტურობაზე, რისთვისაც იგი საგადახდო სისტემის ოპერატორისა და NPS-ის ზედამხედველის როლებს ითავსებს.

**ფინტექის განვითარების ხელშეწყობა მკაფიოდაა ასახული ეროვნული ბანკის 2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიაში.** სტრატეგია ადგენს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის პრინციპებსა და ხედვას ინოვაციებთან დაკავშირებით და ადგენს ხუთ საზედამხედველო პრიორიტეტს, მათ შორის "ფინანსური ინოვაციების ხელშეწყობასა და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარებას". აღნიშნული პრიორიტეტების ფარგლებში, ეროვნული ბანკის სტრატეგია მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს (1) ღია ბანკინგის დანერგვა-განვითარებასა და ღია ფინანსებზე გადასვლას, (2) რეგულირების ლაბორატორიის გაუმჯობესებას, (3) ეროვნულ ბანკში სუბტექსტის განვითარების ხელშეწყობასა და სხვა.

**ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა ჩამოაყალიბა ციფრული ფინანსური სერვისების/ფინტექის პოლიტიკის ჩარჩოს რამდენიმე ელემენტი და მხარდამჭერი აპარატი.** 2019

<sup>13</sup> წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

<sup>14</sup> საქართველოში სადაზღვევო საქმიანობას არეგულირებს და ზედამხედველობს დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო - დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (ISSSG)

<sup>15</sup> ლიზინგისა და ფაქტორინგის კომპანიები ამჟამად არ რეგულირდება, რისთვისაც უზრუნველყოფილი გარიგებების ყოვლისმომცველი რეფორმა მუშავდება.



წელს შეიქმნა ფინანსური და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარების დეპარტამენტი, რათა უზრუნველყოფილიყო იყოს ფინტექ ინდუსტრიაში არსებული მიღწევების დროული იდენტიფიცირება და ხელშეწყობა. ამასთან, 2020 წელს, ეროვნულმა ბანკმა წამოიწყო რიგი სტრატეგიული ინიციატივები, მათ შორის შეუერთდა გლობალურ ფინანსურ ინოვაციურ ქსელს (GFIN), დააარსა ინოვაციების ოფისი და რეგულირების ლაბორატორია.

**2020 წელს ეროვნულმა ბანკმა რეგულირების ლაბორატორია შექმნა, რომელიც ბაზარს კონტროლირებად გარემოში ახალი პროდუქტებისა და სერვისების ტესტირების საშუალებას აძლევს.** ლაბორატორიის მთავარი მიზანი ბაზარზე შესვლის ბარიერების შემცირება და არსებული რეგულაციების განახლების საჭიროების იდენტიფიცირებაა ფინტექის სექტორის გაფართოების მხარდასაჭერად. ლაბორატორია ფოკუსირებული იყო დისტანციური იდენტიფიკაციის/ID ვერიფიკაციის სერვისებზე, როგორებიცაა სახის ამოცნობა და სიცოცხლის შემოწმება და ინფორმაციის ექსტრაქცია. ბოლო დროს ბაზრის განვითარების მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით, ლაბორატორია ციფრული უცხოური ვალუტის გაცვლით ტრანზაქციებზე, ესქრო სერვისებზე, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს პლატფორმებსა და კრიპტოსესხებზეა ფოკუსირებული.

**ეროვნულმა ბანკმა სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს მოდერნიზაციისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა.** შემუშავდა ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპები: 2022 წელს პირველმა ციფრულმა ბანკმა მიიღო ლიცენზია. ეროვნული ბანკის მიერ წამოწყებული სხვა მნიშვნელოვანი მარეგულირებელი რეფორმები მოიცავს საგადახდო სისტემებისა და საგადახდო მომსახურების შესახებ კანონის შესწორებას ევროკავშირის PSD2-ის შესაბამისად და VASP-ების რეგისტრაციის რეჟიმის შემოღებას.

**2020 წელს ღია ბანკინგის იმპლემენტაცია დაიწყო, თუმცა თავიდან იგი მხოლოდ ბანკებით შემოიფარგლებოდა, 2023 წლის მასიდან კი ღია ბანკინგი ყველა რეგულირებად სუბიექტზე გავრცელდა.** ეროვნული ბანკის მიდგომა PSD2 მარეგულირებელ ჩარჩოსა და ევროპულ ტექნიკური სტანდარტებთან მჭიდროდ დაახლოებას ისახავს მიზნად. საქართველოს საბანკო ასოციაციასთან ერთად შექმნილი ღია ბანკინგის კომიტეტი პასუხისმგებელია ღია ბანკინგის საერთო სტანდარტის შემუშავებაზე, ხოლო მისი საბოლოო დამტკიცება და მხარდაჭერა ეროვნულ ბანკზეა დამოკიდებული. სტანდარტის მოქმედების სფერო დროთა განმავლობაში გაიზარდა და იგი "ძირითადი" PSD2 სერვისებთან ერთად მოიცავს მასობრივ გადახდებს (bulk payments) და 2024 წლის აგვისტოდან ანგარიშის ინფორმაციის გაფართოებებსა (დანაზოგისა და საკრედიტო ანგარიშები) და „დამატებითი ღირებულების“ მქონე გადახდის ინიცირების სერვისებს (მაგ., ცვლადი განმეორებადი გადახდები (variable recurring payments (VRP))).

**ეროვნული ბანკი აქტიურად იკვლევს ცენტრალური ბანკის ციფრულ ვალუტას (CBDC)/ციფრულ ლარს.** ეროვნული ბანკის მიდგომა ფოკუსირებულია დიზაინის კონკრეტულ მახასიათებლებზე (პროგრამირებადობა/გონიერი კონტრაქტები) და გამოყენების სცენარებზე (უძრავი ქონების ტრანზაქციები, საერთაშორისო გადახდები). Ripple-თან პარტნიორობით 2024 წლის დასაწყისიდან ეროვნული ბანკის CBDC პროექტი საპილოტე ფაზაში გადავიდა. ეროვნული ბანკი USAID-თან თანამშრომლობით, გონიერ კონტრაქტებზე სამართლებრივი კუთხით სიღრმისეულ კვლევას ატარებს. იგი ასევე მონაწილეობს საერთაშორისო ანგარიშსწორებათა ბანკის ინოვაციების ჰაბის (BISIH) პროექტ mBridge-სა და პროექტ Promissa-ში<sup>16</sup>.

<sup>16</sup> პროექტი მიზნად ისახავს მულტი-CBDC პლატფორმის ტესტირებას, რომელიც გაზიარებულია მონაწილე ცენტრალურ და კომერციულ ბანკებს შორის და აგებულია DLT-ზე, რათა უზრუნველყოს

ეროვნული ბანკი იყენებს AI-ს, რათა განავითაროს მოწინავე ტექნიკები თავისი მარეგულირებელი და საზედამხედველო პოლიტიკის მიზნების მიღწევის პროცესის გასაუმჯობესებლად. AI-ს შეუძლია ანგარიშგების ავტომატიზება მონაცემთა დიდი ბაზების ანალიზითა და შესაბამისი აზრების გენერირებით. მაგალითად, სენტიმენტების ანალიზის ტექნიკის გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით ბაზრის ქცევისა და განწყობის მონიტორინგი. AI-ზე დაფუძნებულ მონაცემთა შეგროვებისა და პროგნოზირების ტექნიკებს შეუძლია, მარეგულირებლებს ბაზრის ტენდენციებისა და პოტენციური პრობლემების წინასწარ განჭვრეტაში დაეხმაროს, რაც გააუმჯობესებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. გარდა ამისა, მოწინავე მონაცემთა ანალიტიკისა და მანქანური სწავლების ალგორითმების საშუალებით, AI-ს შეუძლია, ხელი შეუწყოს თაღლითური აქტივობების მონიტორინგს, გამოვლენასა და პრევენციას ინსტიტუტებსა და საზღვრებს შორის, AML/CFT ზედამხედველობას. თუმცა AI ასევე წარმოშობს რისკებს, როგორებიცაა ხარვეზები ალგორითმებში, მონაცემთა კონფიდენციალურობისა და კიბერუსაფრთხოების მოწყვლადობა და ავტომატიზებულ სისტემებზე გადაჭარბებული დამოკიდებულება, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ზედამხედველობის ხარისხზე. შესაბამისად, ეროვნული ბანკი ფინანსურ სექტორში საკუთარი AI რეგულაციის შემუშავებას გეგმავს, რომელიც ევროკავშირის AI აქტის შესაბამისი იქნება, რათა აღნიშნული ტექნოლოგიები თავის მარეგულირებელ ჩარჩოში უსაფრთხოდ და ეფექტურად დაინერგოს.

**ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ფინტექ განათლებისა და ცნობიერების ამაღლების ხელშესაწყობად სხვადასხვა სტრატეგიული ინიციატივითა და თანამშრომლობით.** ეროვნული ბანკი რეგულარულად ხვდება დაინტერესებულ მხარეებს, რათა უზრუნველყოს მათი ინფორმირება ფინტექის სფეროში არსებული უახლესი მიღწევებისა და ეროვნული ბანკის შესაბამისი მიდგომების შესახებ. მაგალითად, ეროვნულმა ბანკმა კერძო სექტორთან ღია ბანკინგის ინიციატივების შესახებ საინფორმაციო შეხვედრები გამართა, რათა ხელი შეუწყოს ღია ბანკინგის განვითარების პროცესში უფრო ფართო აუდიტორიის ჩართულობას. ამასთან, ეროვნული ბანკი სატელევიზიო გადაცემაში მიმდინარე ფინტექ ტრენდებისა და პროექტების შესახებ სპეციალურ რუბრიკას უძღვებოდა. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი თანამშრომლობს 10x1000 Tech for Inclusion-თან, გლობალურ საგანმანათლებლო პლატფორმასთან, რომელიც საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა (IFC) და Ant Group-ის ერთობლივი ინიციატივაა და მიზნად ისახავს ციფრული ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობას 1,000 ახალი ტექნოლოგიური ლიდერის გადამზადებით. Fintech Foundation Program Flex-ის მეშვეობით, აღნიშნული პროგრამა მონაწილეებს მოქნილ, საკუთარ გრაფიკზე მორგებულ, სასწავლო გამოცდილებას სთავაზობს. იგი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ტექნოლოგიებს, როგორებიცაა ბლოკჩეინი, AI და ნივთების ინტერნეტი (IoT). ეროვნული ბანკი ასევე

მცისიერი საერთაშორისო გადახდები და ანგარიშსწორება. პროექტი mBridge არის 2021 წელს დაწყებული ინტენსიური თანამშრომლობის შედეგი BIS-ის ინიციატივების ჰაბს, ტაილანდის ბანკს, არაბთა გაერთიანებული საამიროების ცენტრალურ ბანკს, ჩინეთის სახალხო ბანკის ციფრული ვალუტის ინსტიტუტს, ჰონგ კონგის სავალუტო ორგანოსა და საუდის არაბეთის ცენტრალურ ბანკს შორის. ამჟამად პროექტში ასევე 26-ზე მეტი დამკვირვებელი წევრია. იხილეთ [https://www.bis.org/about/bisih/topics/cbdc/mcbdc\\_bridge.htm](https://www.bis.org/about/bisih/topics/cbdc/mcbdc_bridge.htm).

პროექტი Promissa არის BIS-ის ინიციატივების ჰაბის შვეიცარიის ცენტრის, შვეიცარიის ეროვნული ბანკისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ექსპერიმენტი, რომელიც მიზნად ისახავს ციფრული ტოკენიზებული თამასუქების პლატფორმის კონცეფციის დადასტურების (Proof-of-Concept) შექმნას. საერთაშორისო სავალუტო ფონდი პროექტში მონაწილეობს დამკვირვებლის სტატუსით. იხილეთ <https://www.bis.org/about/bisih/topics/fmis/promissa.htm>.



თანამშრომლობს Elevandi-სთან, გლობალურ ფინტექ ლიდერთან, რაც მიზნად ისახავს საქართველოს ფინტექ ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობას სემინარების, ტრენინგებისა და ფორუმების ორგანიზებით.

**ეროვნული ბანკის გარდა, რამდენიმე სხვა მარეგულირებელი და სამთავრობო უწყებაც მონაწილეობს DFS/ფინტექის განვითარებაში და/ან ზედამხედველობს ფინტექთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ:**

- დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (ISSSG) ამჟამად იკვლევს და ავითარებს ინსტიტუციურ შესაძლებლობებს InsurTech-ის მიმართულებით.
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (MoESD) ევალება (i) ქვეყანაში ფინანსებზე წვდომის ხელშეწყობა, კაპიტალის ბაზრისა და კერძო დაგროვებითი საპენსიო რეფორმის შესახებ სტრატეგიების/სამოქმედო გეგმებისა და კანონმდებლობის შემუშავება; (ii) "აწარმოე საქართველოს" (მეწარმეობის განვითარების სააგენტო) და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) მართვა და ზედამხედველობა; და (iii) სხვა საკითხებთან ერთად, სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საფოსტო მომსახურების სფეროებში. MoESD-მ გამოსცა საქართველოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგია და კაპიტალის ბაზრის განვითარების 2023-2028 წლების სტრატეგია სამოქმედო გეგმასთან (2023-2024) ერთად და მალე დაასრულებს ქვეყნის ციფრული სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც DFS-ის მიმართულებას მოიცავს.
- ციფრული მმართველობის სააგენტო (DGA), რომელიც იუსტიციის სამინისტროს (MoJ) ექვემდებარება, ხელმძღვანელობს ციფრული საქართველოს განვითარებას - საქართველოს ელექტრონული მმართველობის სტრატეგიას, მონაცემთა ელექტრონული გაცვლის ინფრასტრუქტურას, ციფრული სერვისების ერთიან პორტალს ([my.gov.ge](http://my.gov.ge)) და სხვა. DGA-ს ზედამხედველობის ნაწილია ასევე კერძო სექტორის კრიტიკული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ნდობის სერვისები და კიბერუსაფრთხოება. ამასთან, DGA ღია სამთავრობო მონაცემების ჩარჩოს ქმნის, რომელიც სამთავრობო უწყებებს შორის და კერძო პირებთან მონაცემთა გაზიარებისთვის ერთიან წესებსა და სტანდარტებს განსაზღვრავს.
- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური არის დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო, რომელიც როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის სამართალმემკვიდრე, 2019 წლის მაისიდან მოქმედებს საქართველოში მონაცემთა დაცვის მანდატით - კერძოდ, ზედამხედველობს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის განხორციელებას, განიხილავს მოქალაქეთა საჩივრებს და აკონტროლებს მონაცემთა დამუშავების კანონიერებას. 2023 წლის ივნისში ამოქმედდა საქართველოს ახალი კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, რომელმაც ჩაანაცვლა 2011 წლის მონაცემთა დაცვის აქტი და შესაბამისია ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ძირითად რეგულაციასთან (GDPR).
- ეროვნული უსაფრთხოების საბჭო არის საკონსულტაციო ორგანო, რომელიც პირდაპირ ექვემდებარება საქართველოს პრემიერ-მინისტრს. ინფორმაციისა და კიბერუსაფრთხოების

დეპარტამენტის მეშვეობით, ეროვნული უსაფრთხოების საბჭო კოორდინირებას უწევს ეროვნული დონის კიბერუსაფრთხოების სტრატეგიას.

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მანდატი ფინანსურ სექტორში კონკურენციის კანონის შემუშავებას მოიცავს,<sup>17</sup> საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სააგენტო (GCCA) ინარჩუნებს კონკურენციის ზედამხედველის როლს სხვა სექტორების მიმართ.

## 2.4. ფინტექის განვითარების გამოწვევები და შესაძლებლობები

მოცემულ ნაწილში მოკლედაა განხილული საქართველოში ფინტექის განვითარების გამოწვევები და შესაძლებლობები IMF-მსოფლიო ბანკის Bali Fintech Agenda-ის ოთხი მიმართულების შესაბამისად: (1) ფინტექის შესაძლებლობების ათვისებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა; (2) ფინანსური სექტორის პოლიტიკის ჩარჩოს გაძლიერება; (3) პოტენციური რისკების მართვა და მდგრადობის გაუმჯობესება, და (4) საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა.

### 2.4.1. ხელშეწყობი გარემო ფინტექის განვითარებისთვის

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ჩამოაყალიბა პროგრესული მიდგომა ფინტექისადმი და ფინტექის პოლიტიკის ელემენტები წარმოდგენილია რამდენიმე სამთავრობო ინიციატივაში, არ არსებობს ფინტექის განვითარების ეროვნული ხედვა ან სტრატეგია. ერთიანი ეროვნული ხედვა და სტრატეგია შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ბაზრისთვის მიმართულების მისაცემად, მომხმარებელთა ნდობის ასამაღლებლად, სხვადასხვა საჯარო სექტორის დაინტერესებული მხარეების მანდატების მკაფიოდ განსაზღვრისა და მათ შორის ეფექტური კოორდინაციის უზრუნველსაყოფად. ამასთან, საქართველოს შესაბამის უწყებებს შორის ფინტექის საკითხებზე აქტიური კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის მექანიზმი არ გააჩნია. მხოლოდ რამდენიმე იურისდიქციას აქვს ოფიციალური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ფინტექის პოლიტიკის კოორდინაციაზე, როგორებიცაა სამხრეთ აფრიკის უწყებათაშორისი ფინტექის სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული სამუშაო ხშირად სრულდება მინისტრის, ქვეკომიტეტის, სპეციალური ჯგუფის ან სამუშაო ჯგუფის მიერ (მაგალითად, ტაილანდის სამი მარეგულირებლის საკოორდინაციო კომიტეტი). მათ ევალებათ ფინტექის კომპანიებისა და ბიზნეს მოდელის შესწავლა და გაანალიზება, შესაძლებლობებისა და რისკების შეფასება და იმ აუცილებელი ცვლილებების გამოვლენა, რათა რეგულაციები და ზედამხედველობის მიდგომები შესაბამისი იყოს ბაზრის განვითარების ტენდენციებთან. ზოგიერთ იურისდიქციაში ხელისუფლება თანამშრომლობს ინდუსტრიასთან. მაგალითად, საფრანგეთში ფუნქციონირებს ფინტექის ფორუმი, რომელიც ხელს უწყობს ექსპერტების და ინდუსტრიისა და საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის დიალოგისა და იდეების გაცვლის პროცესს.

საქართველოს ფინტექის საშუალებით ფინანსური ჩართულობის გაფართოების დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ ამჟამად შეზღუდულია ფინანსური ჩართულობის ხელშეწყობაში ფინტექის როლის არსებულ სტრატეგიებთან ინტეგრაცია და არ არსებობს ფინანსური ჩართულობის მხარდაჭერის ერთიანი პოლიტიკა. თუმცა სულ უფრო ხშირად ხდება ფინტექის საკითხების ინტეგრირება

<sup>17</sup> ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს ეროვნული ბანკის იურიდიულ დეპარტამენტში კონკურენციის ახალი განყოფილება შეიქმნა.

ეროვნული ფინანსური ჩართულობის და/ან ფინანსური განათლების სტრატეგიების ფარგლებში. ფინანსებზე წვდომა ამის ნათელი მაგალითია. ფინტექს შეუძლია, შეამციროს ფინანსებზე წვდომის ხარჯები, უზრუნველყოს დაფინანსების მოზიდვის ახალი გზები, შექმნას ახალი საინფორმაციო სერვისები რისკების შესავასებლად და წახალისოს ახალი ფინანსური სერვისები, MSME სექტორს ფინანსებზე წვდომის გაზრდაში დაეხმარება. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების სტრატეგიაში აღნიშნულია დაფინანსების ალტერნატიული ინსტრუმენტების განვითარებისა და მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწის საჭიროებაზე, მაგრამ სტრატეგია პირდაპირ არ ითვალისწინებს ახალი ბიზნეს მოდელების/მოთამაშეების შემოსვლის მხარდაჭრას ბაზარზე. საქართველოს ფინანსური განათლების 2023 წლის ეროვნული სტრატეგია ხაზს უსვამს ფინანსური განათლების ღონისძიებების მნიშვნელობას მომხმარებელთა ფინანსური შესაძლებლობების გასაძლიერებლად, რათა მათ უსაფრთხოდ შეძლონ ციფრულ სამყაროში ნავიგაცია.

**მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პროგრამებითა და რეგულაციებით SME სეგმენტისთვის ფინანსებზე წვდომის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, ფინანსებზე წვდომა კვლავ გამოწვევად რჩება განსაკუთრებით არასაკმარისი უზრუნველყოფის მქონე კლიენტებისთვის.** USAID საქართველოსთან პარტნიორობით, სააგენტომ "აწარმოე საქართველოში" კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის ახალი პროგრამა დაიწყო, რათა SME სეგმენტს ობლიგაციების გამოშვებაში დაეხმაროს. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული პროგრამა 2024 წელს 150 მილიონ ლარამდე ობლიგაციების გამოშვებას შეუწყობს ხელს, უფრო მაღალი სუბსიდიებით ანდერაიტინგისა და საკრედიტო რეიტინგის ხარჯებზე მცირე კომპანიებისთვის, რითაც გაუადვილებს მათ წვდომას ობლიგაციების ბაზარზე. მცირე და საშუალო საწარმოებს დაფინანსების მიღება ასევე საინვესტიციო ფონდების მეშვეობით შეუძლიათ; 2024 წლის ივნისისთვის საქართველოში 14 საინვესტიციო ფონდი იყო დაფუძნებული, რომელთა ჯამური მართვის ქვეშ მყოფი აქტივები (AUM) 159 მილიონ ლარს შეადგენდა.<sup>18</sup> მათგან ბევრი პირდაპირ ინვესტიციებს ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოებში ვალის, კაპიტალის ან კვაზი-კაპიტალის ინსტრუმენტების მეშვეობით. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული სექტორი უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ამასთან, მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით, ეროვნული ბანკი ჩართული იყო კერძო კაპიტალის ფონდების ბაზრის განვითარების მხარდაჭერი მექანიზმების შემუშავების პროექტში, რასაც მოჰყვა მხარდაჭერის სქემის დამტკიცება. სქემის მიხედვით, საქართველოს მთავრობა იმოქმედებს, როგორც წამყვანი ინვესტორი კერძო კაპიტალის ფონდებში, რომლებიც მიზნად ისახავენ მცირე და საშუალო საწარმოებში ინვესტირებას. გარდა ამისა, 2023 წლის დეკემბერში საქართველომ შემოიღო სეკურიტიზაციის მარეგულირებელი ჩარჩო, რომლის მიზანია ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური სექტორისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით არცერთ მცირე და საშუალო საწარმოს არ გამოუყენებია აღნიშნული ჩარჩო, იგი პოტენციურ სამომავლო დაფინანსების ალტერნატივას წარმოადგენს. თუმცა ფინანსებზე წვდომა კვლავ რჩება მთავარ გამოწვევად უფრო მცირე, შეზღუდული უზრუნველყოფის მქონე ფირმებისთვის.

**არასრული/ფრაგმენტული ფინანსური ინფრასტრუქტურა შეიძლება აფერხებდეს ფინტექის ზრდას.** მაგალითად, ხელსაყრელი მარეგულირებელი ჩარჩოს მიუხედავად, IPS-ის არარსებობის გამო, გადახდების ინიცირების სერვისები ამჟამად ჩამორჩება. მსხვილი ბანკების ციფრული საფულები უკვე უზრუნველყოფენ სწრაფ გადახდებსა და ფართო მოცვას, რაც ხაზს უსვამს არასაბანკო წვდომის, დამატებითი ინოვაციური სერვისების (მაგ., გადახდის მოთხოვნა (request-to-pay) და დაბალხარჯიანი წვდომის არხების (მაგ., QR კოდები) მნიშვნელობის გათვალისწინებას IPS-ის

<sup>18</sup> წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



დიზაინის ფარგლებში. საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში საკრედიტო მონაცემების არმქონე მომხმარებლების კრედიტუნარიანობის შესაფასებლად არასრული ინფორმაცია,<sup>19</sup> უზრუნველყოფილი გარიგებების ჩარჩოში არსებული ხარვეზები და თანამედროვე გირავნობის რეესტრის არარსებობა მცირე მოთამაშეებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს მსხვილ ბანკებთან შედარებით, რომლებსაც დიდი შიდა მონაცემთა ბაზები და მონაცემთა ანალიზის უკეთესი შესაძლებლობები აქვთ.

**მყარი ციფრული სამთავრობო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივა განხორციელდა.** საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში, საქართველომ რიგი ინოვაციური ციფრული პლატფორმები დაწერა, რათა ხელი შეუწყოს ღია მმართველობასა და ელექტრონული სერვისების მიწოდებას. მათ შორისაა პეტიციების პორტალი (Ichange.gov.ge), ღია მონაცემთა პორტალი (Data.gov.ge) და ციფრული სერვისების ერთიანი პორტალი (My.gov.ge), რომელიც მოიცავს 700-ზე მეტ ტრანზაქციის ციფრულ სერვისს მოქალაქეებისა და ბიზნესებისთვის.<sup>20</sup> DGA ამჟამად მუშაობს სამთავრობო მონაცემების გაზიარების ჩარჩოზე. ამ ინიციატივით მოცული მონაცემების მასშტაბის მიხედვით, შესაძლოა წარმოიქმნას მნიშვნელოვანი თანამშრომლობა ღია ბანკინგსა და საკრედიტო საინფორმაციო სისტემასთან. მიუხედავად აღნიშნული მიღწევებისა, არ არსებობს ერთიანი პოლიტიკა სახელმწიფოს ხელთ არსებულ მონაცემებზე წვდომის შესახებ.

**იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით მიმდინარეობს მუშაობა ციფრული იდენტიფიკაციის საფულის (Digital Identity Wallet) შექმნაზე, რომელიც შეიძლება, გამოყენებულ იქნას იდენტიფიკაციისა და აუთენტიფიკაციისთვის ფინანსურ ტრანზაქციებში.** ფინანსურ ინსტიტუტებს აქვთ წვდომა ეროვნულ საიდენტიფიკაციო სისტემაზე და შეუძლიათ მომხმარებლის საიდენტიფიკაციო ინფორმაციის ონლაინ ვალიდაცია. ფინანსური ინსტიტუტები ამას თავიანთი მომხმარებლების რეგისტრაციის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილის გასაციფრულებლად იყენებენ. ციფრული საიდენტიფიკაციო საფულის შემოღებამ შეიძლება, კიდევ უფრო გააუმჯობესოს ფინანსური ინსტიტუტების არსებული რეგისტრაციის პროცესები, შეამციროს ხარჯები და ხელი შეუწყოს აუთენტიფიკაციას დისტანციურ ტრანზაქციებში, რაც ბანკების მიერ უკვე დაწერული ციფრული იდენტიფიკაციის მეთოდების შემავსებელი ინსტრუმენტი იქნება.

**ფინტექს უნიკალური შესაძლებლობა გააჩნია, გავლენა მოახდინოს საბოლოო მომხმარებლის ქცევაზე ისე, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს უარყოფითი კვალი და მოახდინოს დადებითი გავლენის მაქსიმიზაცია გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) საკითხებთან დაკავშირებით.** ფინტექის გადაწყვეტილებებს შეუძლიათ, მომხმარებელთა ESG სტანდარტებთან დაკავშირებული გამოცდილების ფორმირება ინდივიდების არჩევანზე მსუბუქი ზემოქმედებით, (მაგ., ე.წ. „ბიძგი“ („nudge“), მკაცრი მოთხოვნების გარეშე. მაგალითად, ციფრულ ინსტრუმენტებში შესაძლებელია ნაჩვენები იყოს სხვადასხვა საინვესტიციო არჩევანის ეფექტი გარემოზე, რითაც მომხმარებლებს უბიძგებენ უფრო მდგრადი ალტერნატივების არჩევისკენ. ღია ბანკინგი/ფინანსები ინდივიდის ფინანსური ქცევის ერთიანი სურათის დანახვის შესაძლებლობას იძლევა, რაც ხელს შეუწყობს მომხმარებელთა ESG პროფილების შეფასებას. შესაბამისად, გამარტივდება ინდივიდზე

<sup>19</sup> მაგალითად, მსოფლიო ბანკის ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის ფარგლებში, შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, კომუნალური გადასახადების მონაცემების ჩართვა ვერ ხერხდება, რადგან გადასახადის ანგარიშები დაკავშირებულია მისამართთან და არა კონკრეტულ პირთან.

<sup>20</sup> იხილეთ საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგია, ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5723982?publication=0>

მორგებული რეკომენდაციებისა და სტიმულების მიწოდება, რაც დადებით გარემოსდაცვით და სოციალურ ქცევებს წახალისებს. გარდა ამისა, ფინტექ-კომპანიებს შეუძლიათ, გამოიყენონ ბლოკჩეინის ტექნოლოგია და AI/ML, რათა ინოვაციური, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები შექმნან, რომლებიც გააუმჯობესებს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და ეფექტურობას მწვანე ფინანსებსა და სოციალურ ინვესტიციებში. მაგალითად, ბლოკჩეინს შეუძლია შექმნას ნახშირბადის კრედიტების, განახლებადი ენერჯის სერთიფიკატებისა და სხვა მდგრადობის მაჩვენებლების შეუცვლელი ჩანაწერები, რაც ESG-ზე დაფუძნებული ტრანზაქციების დაცულობას, გამჭვირვალობასა და აუდიტს უზრუნველყოფს. ამასთან, AI-ის გამოყენებით შესაძლებელია რისკების მართვის პროცესის გაუმჯობესება დიდი მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, რათა პროგნოზირება მოხდეს ფინანსური პროდუქტების გარემოსდაცვითი ზემოქმედების, რესურსების ოპტიმალური განაწილებისა და მდგრადობის ახალი ტრენდების იდენტიფიცირების გზით. საბოლოოდ, ეს უფრო ინფორმირებული, ESG მიზნებთან შესაბამისი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებას უზრუნველყოფს.

**საქართველოს ფინტექ ეკოსისტემის მხარდაჭერა, მიუხედავად ზრდისა, შესაძლოა ჯერ კიდევ არ იყოს საკმარისი ფინტექის მასშტაბური ზრდის ხელშესაწყობად.** 500 Global-მა, ვენჩურული კაპიტალის (venture capital) ფირმამ 2.4 მილიარდი აშშ დოლარის AUM-ით (2023 წლის ივნისის მდგომარეობით), რომელიც მხარს უჭერს ტექნოლოგიურ სტარტაპებს, GITA-სა და საქართველოს ბანკის მხარდაჭერით 2022 წელს საქართველოში პირველი საერთაშორისო აქსელერატორის პროგრამა წამოიწყო. GITA სტარტაპებს მენტორობით, დაფინანსებითა და საერთაშორისო პარტნიორებთან კავშირების დამყარებით ეხმარება, სტარტაპების განვითარების მთლიანი პერიოდის განმავლობაში, იდეის ჩამოყალიბებიდან ზრდამდე. GITA უკვე 200-ზე მეტ სტარტაპს დაეხმარა. მიუხედავად ამისა, GITA-ს ბენეფიციარები, როგორც წესი, საერთაშორისო ბაზრებზე არიან ორიენტირებულნი და ქართველ ფიზიკურ პირებსა და ბიზნესებს ყოველთვის არ ემსახურებიან. ზოგიერთი უფრო განვითარებული ფინტექ ფირმა პირდაპირ ან ირიბად ფინანსდება ორი მთავარი საბანკო ჯგუფის მიერ. საბოლოოდ, კაპიტალზე წვდომა შესაძლოა, კვლავ შეზღუდული იყოს, მით უფრო იმ მასშტაბის გათვალისწინებით, რაც რეგიონული ფინტექ ჰაბის განვითარებისთვისაა საჭირო.

## 2.4.2. ფინანსური სექტორის პოლიტიკის ჩარჩო

**არსებული რეგულატორული მიდგომები ფინტექის მიმართ მეგობრულია, თუმცა შესაძლოა მათი კიდევ უფრო დახვეწა მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსების პრობლემების აღმოსაფხვრის კუთხით.** კერძოდ, საჯარო უწყებებმა დაიწყეს თავდაპირველი კვლევა/შედარებითი ანალიზი P2P სესხებისა და ქრადფანდინგის რეგულაციებზე, მაგრამ აღნიშნული პროცესი შეჩერდა ან არ გადაიზარდა კოორდინირებულ პოზიციაში/წინადადებაში. თუმცა ეროვნული ბანკი გეგმავს მის განახლებას. მნიშვნელოვანი საკითხია, შეუძლიათ თუ არა პლატფორმაზე დაფუძნებულ მოდელებს SME-ების მასშტაბირების პრობლემების გადაჭრაში დახმარება.

**ეროვნულმა ბანკმა ღია ბანკინგის ჩარჩო შეიმუშავა, თუმცა მასში არასაბანკო სუბიექტების მონაწილეობა კვლავ შეზღუდულია.** არასაბანკო/ფინტექ კომპანიები უჭირთ დამაჯერებელი ბიზნეს მოდელის იდენტიფიცირება ღია ბანკინგში ჩართვისთვის. API სტანდარტიზაციას ბერლინის ჯგუფის სტანდარტის (NextGenPSD2) მეშვეობით ამჟამად საქართველოს საბანკო ასოციაცია უძღვება: ეს კრიტიკული ნაბიჯია ღია ბანკინგის დანერგვისათვის, რაც დაინტერესებული მხარეების აქტიურ მონაწილეობასა და ეფექტურ ზედამხედველობას მოითხოვს. ჩარჩოს არაფინანსურ სუბიექტებზე გავრცელება შესაძლებელია (მაგ., მობილური ქსელის

ოპერატორები, კომუნალური მომსახურების მიმწოდებლები), მაგრამ კომერციული მოდელი არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. ასევე ბუნდოვანია, როგორ მოხდება მონაცემთა მართვის ჩარჩოს (DGA-ის ხელმძღვანელობით) და ეროვნული ბანკის ღია ბანკინგის ჩარჩოს ინტერაქცია და რამდენად შეეხება აღნიშნული პროცესი სამთავრობო უწყებების გარდა სხვა სუბიექტებსაც.

**ეროვნული ბანკის რეგულირების ლაბორატორია სასარგებლო ინსტრუმენტი ფინტექის ახალ ბაზრებზე უსაფრთხო წვდომის ხელშესაწყობად, მაგრამ ამჟამად იგი მხოლოდ ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტებითა და მათი პარტნიორებით შემოიფარგლება.** მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში რეგულირების ლაბორატორიები ღია ინოვაციური ბიზნეს მოდელებისთვის, პროდუქტებისა და პროცესებისთვის, იქნება ეს რეგულირებული, არარეგულირებული თუ შესაძლო სამომავლო რეგულირებისთვის განკუთვნილი. როგორც წესი, ფირმებს, რომლებსაც რეგულირების ლაბორატორიაში მონაწილეობა სურთ, უკვე შემუშავებული აქვთ პროდუქტი და სურთ მისი ქმედუნარიანობის შემოწმება ბაზარზე. ხელისუფლება ხშირად იყენებს რისკზე დაფუძნებულ მიდგომას იმის განსაზღვრად, თუ რეგულატორული მხარდაჭერის რომელი ფორმა ყველაზე შესაფერისი (მაგ., კონკრეტული სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შერბილების მასშტაბი) ლაბორატორიაში ექსპერიმენტირების ხელშესაწყობად.

**ეროვნული ბანკის ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის (CBDC) ექსპერიმენტი ხელს შეუწყობს სამართლებრივი და მარეგულირებელი ხარვეზების გამოვლენას, მაგალითად, განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიების (DLT), ტოკენიზაციისა და ციფრული აქტივების შენახვის (custody) სფეროებში.** მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკის CBDC-ის პროექტი ფოკუსირებულია კონკრეტული ფუნქციებისა და გამოყენების სცენარების (მაგ., პროგრამირებადობა/გონიერი კონტრაქტი, უძრავი ქონება შესყიდვა, სავაჭრო დაფინანსება) ტესტირებაზე, ის უდავოდ გააჩენს კითხვებს ახალი ტექნოლოგიების სამართლებრივ და მარეგულირებელ ჩარჩოსთან შესაბამისობაზე. სავარაუდო ასპექტები შეიძლება მოიცავდეს (1) CBDC-ის გამოშვებისა და CBDC ეკოსისტემაზე ზედამხედველობის უფლებამოსილებებს; (2) მონაცემთა კონფიდენციალურობისა და AML/CFT რეგულაციების გამოყენებას; (3) CBDC-ის, როგორც აქტივის, სამართლებრივ აღიარებასა და სხვა საკითხებს, რომლებიც უკავშირდება დაბეგვრას, ქონების დაყადაღებასა და გაკოტრების შემთხვევაში ელექტრონული საფულეების განკარგვას.

### 2.4.3. საზედამხედველო პოლიტიკის სტრატეგია

სებ-ის VASP-ების რეგისტრაციის რეჟიმი ვირტუალურ აქტივებთან და მათი მომსახურების პროვაიდერებთან დაკავშირებული ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების რისკების აღმოფხვრის საშუალებას იძლევა; თუმცა, ის მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს კრიპტოაქტივებთან დაკავშირებულ რისკებს. კრიპტოაქტივების რისკების აღმოსაფხვრელად საჭიროა ყოვლისმომცველი ჩარჩო, რომელიც კრიპტოაქტივების მომსახურებების ფართო არეალს დაფარავს. არსებული რეგისტრაციის რეჟიმი უკვე საკმაოდ ფართოა და მოიცავს კრიპტოაქტივების გაცვლას/შენახვას, სავაჭრო პლატფორმებს, საფულეებს, გამოშვებას/მონეტების პირველად შეთავაზებებს (ICOs), პორტფელის მართვასა და კრიპტოსესხების გაცემას. ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) განახლებულ რეკომენდაციებთან ერთად, სხვა საერთაშორისო სტანდარტების დამდგენმა ორგანოებმა (SSBs) საბანკო რისკების, ბაზრის მთლიანობის, ინვესტორის დაცვისა და საგადახდო სისტემის ზედამხედველობის სტანდარტების გამოყენების მიმართ პრუდენციული მიდგომების შესახებ მითითებები გამოსცეს. ფინანსური სტაბილურობის



საბჭომ (FSB) ასევე გამოსცა რეკომენდაციები ფინანსური სტაბილურობის კუთხით კრიპტოაქტივების ბაზრების რეგულირების, ზედამხედველობისა და მონიტორინგის შესახებ.

**საქართველოში პოლიტიკის შემქმნელებმა ბოლო წლებში მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწიეს ფინანსური მომხმარებლის დაცვის (FCP) ჩარჩოს შექმნაში; ციფრული ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გაფართოებასთან ერთად, თაღლითობის ზრდამ შესაძლოა მომხმარებელთა ნდობა შეამციროს.** გარდა ამისა, ციფრული გარემო თავისთავად წარმოქმნის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გამჟღავნების გამოწვევებს, რაც კიდევ უფრო საყურადღებოა ახალი ფინტექ-პროდუქტებისა და მომხმარებელთა გამოუცდელი შემთხვევაში. მომხმარებლები შესაძლოა დამატებითი რისკების წინაშე აღმოჩნდნენ ფინტექ პროდუქტების შემენისას მათი არასაკმარისი ცოდნის/გამოცდილების გამო და ასევე მომხმარებელთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისთვის ალგორითმების გამოყენების შედეგად. თაღლითობის შემცირება და პროდუქტის შესაბამისობა, სავარაუდოდ, დამატებით ძალისხმევას მოითხოვს ეროვნული ბანკისგან, კერძოდ, მომხმარებელთა ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით. კარგ პრაქტიკად ითვლება ფინანსური მომსახურების პროვაიდერებზე სპეციალური ვალდებულებების დაკისრება, რათა მომხმარებლებს მიეწოდოთ ინფორმაცია, სადაც ნათლად იქნება ხაზგასმული: ფიზიკურ და ციფრულ გადახდებთან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკები (როგორცაა გადახდის ინსტრუმენტის და გადახდის მონაცემების არასწორი გამოყენების, ფიშინგის შეტევების, იდენტობის მოპარვის და სხვა რისკები); უსაფრთხოების ზომები, რომლებიც მომხმარებელმა უნდა დაიცვას; გარემოებები, სადაც მომხმარებელი იქნება პასუხისმგებელი ზარალზე; და საკონტაქტო დეტალები დაკარგული ან საფრთხის ქვეშ მყოფი გადახდის ინსტრუმენტის, პირადი მონაცემების ან არავტორიზებული ტრანზაქციების შესახებ შეტყობინებისთვის. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომხმარებლებისთვის როგორც ფიზიკური, ისე ციფრული არხების მეშვეობით.<sup>21</sup>

**ციფრული საფინანსო სერვისების/ფინტექის ზრდამ შეიძლება გამოავლინოს ხარვეზები/სისუსტეები აუთოსორსინგისა და (მათ შორის ღრუბლოვანი აუთოსორსინგის) კიბერრისკების მართვაში.** ეროვნული ბანკის კიბერუსაფრთხოების რეგულაციისა და ზედამხედველობის ფუნქციის მოქმედების სფერო ძირითადად ბანკებით შემოიფარგლება და მოსალოდნელია, რომ მალე გავრცელდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზეც. PSP-ებს მაინც ექნებათ კიბერრისკების მართვის მოთხოვნები თავიათი პრუდენციული ჩარჩოს ფარგლებში. თუმცა, კიბერუსაფრთხოების წესების/სტანდარტების გამოყენება განსხვავდება ფინანსური სექტორის მასშტაბით. ეროვნული ბანკი არ აკონტროლებს კრიტიკული მნიშვნელობის მომსახურების მიმწოდებლებს, არამედ ეყრდნობა ბანკების მიერ ჩატარებულ კომპლექსურ შემოწმებას ეროვნული ბანკის რეგულაციების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აქვს კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია ეროვნული უშიშროების საბჭოს ფარგლებში, არ არსებობს ფორმალური საკოორდინაციო მექანიზმი ხელისუფლების ორგანოებს შორის. ეროვნული ბანკი ღრუბლოვანი აუთოსორსინგს ფინტექის ხელშემწყობ მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილავს და თავისი საზედამხედველო სტრატეგიის საფუძველზე, მან ბანკებისთვის სახელმძღვანელო

<sup>21</sup> მაგალითად, მაგალითად, ავსტრალიის ელექტრონული გადახდების კოდექსი მოითხოვს, რომ ფინანსური მომსახურების პროვაიდერებმა პერიოდულ ანგარიშებზე ან მათთან ერთად, სულ მცირე წელიწადში ერთხელ, წარმოადგინონ მკაფიო და სრულყოფილი შეჯამება პაროლების უსაფრთხოების სახელმძღვანელო პრინციპებზე. უსაფრთხოების ინფორმაციის სავალდებულო გამჟღავნების გარდა, იდეალურ შემთხვევაში, რეგულარულად და კოორდინირებულად უნდა ხორციელდებოდეს მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლების კამპანიები.

მითითებებიც გამოსცა. ამასთანავე, ეროვნული ბანკი განაგრძობს ღრუბლოვანი ტექნოლოგიის უფრო ფართო გამოყენების შესწავლას.

#### 2.4.4. საერთაშორისო თანამშრომლობა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უცხო ქვეყნის უწყებებთან და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით არაერთ ურთიერთგაგების მემორანდუმს (MOU) მოაწერა ხელი და ამ მხრივ, რეგიონში ლიდერის როლი შეითავსა. შესაბამისი მემორანდუმების მაგალითებია თურქეთის რესპუბლიკის ცენტრალურ ბანკთან, კორეის ფინანსური ტელეკომუნიკაციებისა და კლირინგის ინსტიტუტთან (KFTC) - ლია ბანკინგის კონტექსტში, BIS-ის ინოვაციების ჰაბთან (BISIH), Elevandi -სთან და Ripple-თან ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის (CBDC) ექსპერიმენტიზაციის კონტექსტში. ეროვნული ბანკი დამკვირვებელი წევრია BISIH-ის mBridge პროექტში, რომელსაც ეროვნული ბანკი მულტი-CBDC პლატფორმის გამოყენებით შუა დერეფნის ქვეყნებისთვის ვაჭრობის დაჩქარების პოტენციურ მოდელად მიიჩნევს.

შუა დერეფნის განვითარება პოტენციურ შესაძლებლობას ქმნის ფინტექის საზღვრებს მიღმა განვითარებისთვის, რაც ხელს შეუწყობს სავაჭრო ნაკადებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გაუმჯობესებას. შუა დერეფანი არის მულტიმოდალური სახმელეთო და საზღვაო სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც იწყება ჩინეთიდან, კვეთს ცენტრალურ აზიას, კასპიის ზღვას და ფარავს სამხრეთ კავკასიასა და თურქეთს ევროპამდე. რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ შუა დერეფნის, როგორც ალტერნატიული არხის, ეფექტიანობის გაუმჯობესება სავაჭრო მარშრუტების დივერსიფიკაციისა და რუსეთზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით აუცილებელი გახდა აზერბაიჯანის, საქართველოს, ყაზახეთისა და თურქეთისთვის და მიიღო ძლიერი მხარდაჭერა საერთაშორისო საზოგადოებისგანაც. მსოფლიო ბანკის შეფასებით, ინვესტიციებისა და პოლიტიკის ინტერვენციების ფრთხილი კომბინაციით, შუა დერეფანს შეუძლია, გაასამშაგოს თავისი სავაჭრო მოცულობები 2030 წლისთვის 2022 წელთან შედარებით.<sup>22</sup> 2022 წლის ნოემბერში ყაზახეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის საგარეო საქმეთა და ტრანსპორტის მინისტრებმა ხელი მოაწერეს გზამკვლევის 2022-2027 წლებისთვის შუა დერეფნის გამოწვევების ერთდროული აღმოფხვრისა და განვითარებისთვის. ციფრული ეკონომიკის, ფინანსური სექტორის განვითარებისა და ფინტექის კავშირები ჯერ გზამკვლევისა და მასთან დაკავშირებულ ინიციატივებში ასახული არ არის. მიუხედავად ამისა, დერეფნის გაციფრულებისთვის საჭირო ზოგიერთი მოთხოვნა, როგორებიცაა მონაცემთა გაზიარების მექანიზმები და ციფრული ინფრასტრუქტურის მართვა, დროულ კოორდინაციასა და სექტორებს შორის ურთიერთშეთანხმებას მოითხოვს.

საზღვრებს შორის მონაცემთა გაცვლა კრიტიკული ასპექტია ზემოაღნიშნული ინიციატივების მასშტაბირებისთვის. საზღვრებს შორის მონაცემთა ნაკადების მნიშვნელობა ასახულია G20-ის საერთაშორისო გადახდების გზამკვლევი<sup>23</sup> და ფინანსური სტაბილურობის საბჭოს (FSB) მიერ გამოქვეყნებულ საკონსულტაციო ანგარიშში "რეკომენდაციები საერთაშორისო გადახდებთან დაკავშირებული მონაცემთა ჩარჩოების შესაბამისობისა და თავსებადობის

<sup>22</sup> იხილეთ მსოფლიო ბანკი, "The Middle Trade and Transport Corridor: Policies and Investments to Triple Freight Volumes and Halve Travel Time by 2030", ნოემბერი 2023.

<sup>23</sup> იხილეთ ფინანსური სტაბილურობის საბჭო, "G20 Roadmap for Enhancing Cross-border Payments: Consolidated progress report for 2023", ოქტომბერი 2023, ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.fsb.org/2023/10/g20-roadmap-for-enhancing-cross-border-payments-consolidated-progress-report-for-2023/>

ხელშეწყობისთვის".<sup>24</sup> მონაცემებთან დაკავშირებულმა გამოწვევებმა, როგორცაა (1) განსხვავებული და იურისდიქციისთვის სპეციფიკური მონაცემთა ჩარჩოს მოთხოვნები, და (2) პირდაპირი შეზღუდვები მონაცემთა საზღვრებს შორის გაცვლაზე (მაგ., მონაცემთა ლოკალიზაციის მოთხოვნები), შეიძლება, შეაფერხოს საერთაშორისო გადახდები და უფრო ფართოდ, საერთაშორისო ფინანსური მომსახურების მიწოდება და მასთან დაკავშირებული ინიციატივების დანერგვა. მიუხედავად იმისა, რომ სენდბოქსის მიდგომა შეიძლება დროებითი გამოსავალი იყოს, თუმცა მუდმივი საერთაშორისო რეგულატორული კოორდინაციის უზრუნველყოფისა და ტესტირებიდან რეალურ გარემოში გადასვლის მექანიზმის გარეშე, მხოლოდ სენდბოქსი ვერ იქნება საკმარისი მდგრადი შედეგის მისაღწევად. ბოლო დროს ყურადღებას იქცევს კონფიდენციალურობის გამაძლიერებელი ტექნოლოგიები/მეთოდები (PETs),<sup>25</sup> როგორც რეგულაციების დაცვით საზღვრებს შორის მონაცემთა გაცვლის გამარტივების შესაძლებლობა.

<sup>24</sup> ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.fsb.org/2024/07/recommendations-to-promote-alignment-and-interopability-across-data-frameworks-related-to-cross-border-payments-consultation-report/>

<sup>25</sup> როგორცაა ჰომომორფული დაშიფვრა (homomorphic encryption), უსაფრთხო მრავალმხრივი გამოთვლა (secure multi-party computation), დიფერენციალური კონფიდენციალურობა (differential privacy) და ნულოვანი ცოდნის მტკიცებულებები (zero-knowledge proofs).

### 3. სტრატეგიის იმპლემენტაცია და მართვა

ფინტექის განვითარების სტრატეგიის იმპლემენტაცია და მართვა დაეყრდნობა ხუთ ძირითად პილარსა და შესაბამის პრიორიტეტულ ქმედებებს.

#### 3.1. ინსტიტუციური მოწყობა და მართვა

საქართველო ინსტიტუციური მდგრადობით ხასიათდება. საჯარო უწყებებს, ზოგადად, პროინოვაციური მიდგომა აქვთ არჩეული სხვადასხვა სექტორში/სააგენტოში, რასაც ინოვაციების მხარდაჭერი არაერთი ინიციატივა მოჰყვა, რომლებიც საბოლოოდ ქვეყნის ფინტექ ეკოსისტემაზე დადებითად აისახება. შემდეგი ნაბიჯი რეფორმების დაჩქარება, უწყებებს შორის კოორდინაციის გაძლიერება და ფინტექის ახალი მიღწევების მიმართ ჰარმონიზებული მიდგომების შემუშავებაა, რათა შეიქმნას შეთანხმებული და ეფექტური რეაგირების შესაძლებლობა ინოვაციების ათვისებისა და ფინანსური სერვისების ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდისთვის. ამისთვის აუცილებელი იქნება უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება და სამუშაო მეთოდების ჩამოყალიბება. ფინტექის სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ერთიანი პლატფორმის მომზადება, რომელიც ყველა შესაბამის უწყებას საერთო ხედვისა და მმართველობის ქვეშ გააერთიანებს.

ამ პილარის ფარგლებში, უწყებები შექმნიან უწყებათაშორის ფინტექ კომიტეტს/სამუშაო ჯგუფს, რომელიც უნდა იმართებოდეს ფორმალური წესებისა და პროცედურების საფუძველზე, რაც მოიცავს მის შემადგენლობას, გადაწყვეტილების მიღების პროცესს, საქმიანობას, ანგარიშგებას, კერძო სექტორის ჩართულობასა და სხვა საკითხებს.

#### 3.2. რეგულირება, ზედამხედველობა და კონტროლი

საქართველომ უკვე გადადგა ნაბიჯები ფინტექის მარეგულირებელი და საზედამხედველო მიდგომის ჩამოსაყალიბებლად. კერძოდ, ეროვნულმა ბანკმა გამოსცა რეგულაციები PSP-ებთან და ღია ბანკინგთან დაკავშირებით, შეიმუშავა ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპები და VASP-ის რეგისტრაციის რეჟიმი. მარეგულირებელი ჩარჩო ხელს უწყობს ციფრული ფინანსური სერვისების და ფინტექის განვითარებას შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, როგორებიცაა კიბერუსაფრთხოება, მონაცემთა დაცვა და კონფიდენციალურობა და მომხმარებელთა დაცვა. ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ფარგლები თანდათანობით გაფართოვდა. სათანადო რეგულირება, ზედამხედველობა და კონტროლი ფინტექის ხედვის მნიშვნელოვანი ფოკუსია, რაც მიზნად ისახავს ციფრული ფინანსური სერვისებისა და ფინტექისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას რისკების მართვის პარალელურად. არსებულ საფუძველებზე დაყრდნობით, ფინტექ სტრატეგია მიზნად ისახავს ყოვლისმომცველი და მომავალზე ორიენტირებული მარეგულირებელი დღის წესრიგის შემუშავების მხარდაჭერას, რომელიც შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

მოცემული პილარის ფარგლებში, საქართველოს რეგულატორები თავიანთი მანდატების ფარგლებში:

- ავითარებენ ეტაპობრივ მიდგომას ღია ბანკინგის ფარგლების გაფართოებისთვის, რათა უზრუნველყონ თანხმობაზე დაფუძნებული წვდომა მომხმარებლის მონაცემებზე სხვადასხვა სექტორში;



- P2P სესხებისა და ფასიანი ქაღალდების ქრუდფანდინგის მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარების მიზნით იწვევენ შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს საჭირო ინფორმაციის გაზიარებისთვის;
- ციფრული აქტივებისა და ტოკენიზაციის იურიდიული ასპექტების სიღრმისეულ ანალიზზე დაყრდნობით შეიმუშავენ კრიპტოაქტივების/კრიპტოაქტივების სერვისების რეგულირების გზამკვლევს, რომელშიც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება მომხმარებლის/ინვესტორის დაცვაზე
- გამოიკვლევენ და ოპერატიულად გამოიყენებენ AI-ს რეგულატორული და საუქსადასრულო პოლიტიკის მიზნებისთვის.

გარდა ამისა, უწყებები იმუშაობენ კიბერუსაფრთხოების სფეროში სათანადო თანამშრომლობის მექანიზმების შექმნაზე, კიბერუსაფრთხოების ზედამხედველობის მასშტაბის გაფართოებასა და თაღლითობის მართვისა და კომპლექსური ფინტექ პროდუქტის თავსებადობის ჩარჩოს გაძლიერებაზე.

### 3.3. ინფრასტრუქტურა

საქართველოში უკვე ფუნქციონირებს ფინანსური ინფრასტრუქტურის რამდენიმე ძლიერი ელემენტი, ხოლო სხვები განვითარების/განახლების პროცესშია. ქვეყანა მობილური კავშირის გავრცელებისა და მობილური ტელეფონის ფლობის მაღალი დონითა (მიუხედავად სოფლებში ხელმისაწვდომობის გარკვეული ხარვეზებისა) და ფიზიკურ პირებს შორის ID-ების თითქმის უნივერსალური გავრცელებით ხასიათდება. ეროვნული ბანკი ავითარებს IPS-ს, რომელიც შეავსებს და განახლებს საქართველოს საცალო გადახდების ინფრასტრუქტურას, ასევე გააღრმავებს ელექტრონული გადახდების მიმდებლობას (EPA). ამასთან, საბანკო ასოციაცია ახორციელებს API სტანდარტიზაციას, რაც ღია ბანკინგში მონაწილეობის გაფართოების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

აქტივებზე დაფუძნებული სესხებისა და მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების პლატფორმების ინიციატივები კონცეფციის ადრეულ ეტაპზეა. იუსტიციის სამინისტრო ციფრული იდენტიფიკაციის საფულის შექმნაზე მუშაობს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას იდენტობის ვერიფიკაციისთვის და ფინანსური ტრანზაქციების ავტორიზაციისთვის. ფინანსური და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურა ფინტექ სტრატეგიის საკვანძო ასპექტია, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი და ინკლუზიური ციფრული ფინანსური სერვისებისთვის მყარი საფუძვლის მომზადებას.

ეს პილარი მოიცავს შემდეგ სავარაუდო ნაბიჯებს:

- სახელმწიფო ორგანოები ავითარებენ ფინანსურ ინფრასტრუქტურას, დამატებით (overlay) სერვისებსა და პლატფორმებს, რომლებიც ფინტექ ინოვაციებზე დაყრდნობით ფინანსურ სერვისებში მეტ ჩართულობასა და კონკურენციას წახალისებს და მასშტაბის ეფექტის დახმარებით ხარჯებს შეამცირებს.
- ფინანსურ სექტორში ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინოვაციების მხარდაჭერის მიზნით ადრეულ ეტაპზევე ხორციელდება ახალი ტექნოლოგიების ტესტირება (მაგ., ბლოკჩეინი) და უკვე გამოცდილი ტექნოლოგიების (მაგ., IPS) დანერგვა, რათა შეიქმნას თანამედროვე ფინანსური ინფრასტრუქტურა.

- ეროვნული ბანკი განსაზღვრავს IPS-ის დიზაინს ისე, რომ სხვადასხვა რეგულატორული სტატუსის მქონე სუბიექტებს საშუალება ჰქონდეთ, დაუკავშირდნენ/გამოიყენონ პლატფორმა უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის პარალელურად. იგი უნდა მოიცავდეს დამატებით სერვისებს ფუნდამენტურ ინფრასტრუქტურასთან ერთად და ჰქონდეს გამოყენების ფართო არჩევანი.
- ეროვნული ბანკი აფასებს ღია ბანკინგის ელემენტების დანერგვის შესაძლებლობებს და ავითარებს მექანიზმებს, რათა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
- ღია ბანკინგის/ფინანსების შემდგომი განვითარებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი შესაბამის ტექნიკურ სტანდარტებზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის დამოუკიდებლობის გაზრდაა. კერძოდ, უნდა გაფართოვდეს აღნიშნული ჯგუფის, როგორც ღია ბანკინგის/ფინანსების API სტანდარტების დამდგენი დამოუკიდებელი ორგანოს, მასშტაბები და იგი მეტად დივერსიფიცირებული უნდა გახდეს. ამისათვის საჭიროა, შეიქმნას სამუშაო ჯგუფის მმართველი დამოუკიდებელი საბჭო, რომელშიც თანაბრად იქნება წარმოდგენილი ყველა დაინტერესებული მხარე, როგორებიცაა ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საგადახდო მომსახურების პროვაიდერები და სხვა მესამე მხარის პროვაიდერები. მეტიც, სამუშაო ჯგუფი დამოუკიდებელი უნდა იყოს საქართველოს საბანკო ასოციაციისგან და უნდა ფინანსდებოდეს არა კომერციული ბანკების ან მთავრობის მიერ, არამედ დამოუკიდებელი თვითდაფინანსების სქემით, რაც შესაძლოა, მოიცავდეს საერთაშორისო დონორების ფინანსურ მხარდაჭერას.
- სახელმწიფო უწყებები აფასებენ ერთიანი პლატფორმების გამოყენების სცენარების განხორციელებადობას, მაგალითად, მცირე და საშუალო საწარმოების დაკრედიტებისთვისა და/ან რეგულაციისთვის (მაგ., KYC და თაღლითობის მართვა).
- სახელმწიფო უწყებები იუსტიციის სამინისტროსთან ერთად მუშაობენ ციფრული იდენტიფიკაციის საფულის ფინანსურ სექტორში დასანერგად.

### 3.4. ინოვაციების მხარდაჭერა

საქართველოს ინოვაციის მხარდაჭერის მზარდი სისტემა აქვს, რომლითაც ფინტექ ფირმები სარგებლობენ. ფინტექ სტრატეგია პირდაპირ არ ფოკუსირდება ინოვაციების მხარდაჭერის უფრო ფართო სისტემის განვითარებაზე, მაგრამ მასზეა დამოკიდებული თავისი მიზნების მისაღწევად. მთავრობის მიერ მართული ძალისხმევით და საქართველოს ეროვნული ბანკის მხარდაჭერის მექანიზმების უფრო მჭიდრო კოორდინაციამ შესაძლოა, გააუმჯობესოს რესურსების მართვა ფინტექის განვითარების ხედვის იმპლემენტაციის პროცესში.

მოცემული პილარის ფარგლებში, ეროვნული ბანკი გადახედავს რეგულირების ლაბორატორიაზე წვდომის კრიტერიუმებს, რათა არარეგულირებად სუბიექტებსაც ჰქონდეთ ლაბორატორიაში მონაწილეობის შესაძლებლობა. შემდგომ ეტაპზე, ეროვნული ბანკის ლაბორატორიის მიზანია, განვითარდეს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ („one-stop shop“), რომელიც ლაბორატორიის მონაწილეებს ფინანსურ მხარდაჭერის წყაროებთან დააკავშირებს.



გარდა ამისა, სახელმწიფო უწყებები აქტიურად ავითარებენ ინოვაციების კულტურას საგანმანათლებლო პროგრამებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების საშუალებით. ეს მიზნად ისახავს დაინტერესებულ მხარეებში საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავებას, რათა გაიზარდოს მათი ჩართულობა ფინტექის აქტივობებში და შესაბამისად, ხელი შეუწყონ ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღებას ფინანსურ სექტორში.

### 3.5. საერთაშორისო თანამშრომლობა

საერთაშორისო თანამშრომლობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია საქართველოს ფინტექ სტრატეგიისთვის: (1) ეს საშუალებას აძლევს კომპანიებს იმუშაონ სხვადასხვა ბაზარზე/წვდომა ჰქონდეთ უფრო დიდ ბაზრებზე, რაც ხელს უწყობს "ადგილობრივი" ფინტექის ზრდასა და უცხოური კომპანიების მოზიდვას, და (2) იყენებს საქართველოს ძლიერ მხარეებს რეგიონში მარეგულირებელი და ტექნიკური ჰარმონიზაციის, ასევე პოლიტიკის კოორდინაციის წასახალისებლად, ამავდროულად, პრიორიტეტულად უზრუნველყოფს ევროკავშირის რეგულაციებთან და სტანდარტებთან შესაბამისობას. ფინტექ სტრატეგიის ეს პილარი ეფუძნება ეროვნული ბანკისა და სხვა უწყებების/დაინტერესებული მხარეების აქტიურ საერთაშორისო როლს. ფინტექს ასევე შუა დერეფანში სავაჭრო ნაკადების გაუმჯობესების პოტენციალი გააჩნია, თუმცა მისი ეს როლი ჯერ სრულად არ არის აღიარებული.

აღნიშნული პილარის ფარგლებში, ეროვნული ბანკი ხელს უწყობს ღია ბანკინგის საერთო პრინციპების დანერგვას რეგიონის მასშტაბით, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საზღვრებს შორის ფინანსური სისტემების ინტეროპერაბელურობის ხელშეწყობისკენ. ეროვნული ბანკი მუშაობს რეგიონის სხვა ცენტრალურ ბანკებთან/უწყებებთან, რათა შეისწავლოს (1) რეგულირების საერთაშორისო ლაბორატორიის შექმნის იდეა, და (2) საერთაშორისო გადახდები QR კოდების გამოყენებით. პირველ ეტაპზე, საერთაშორისო ლაბორატორია შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ჩარჩო, რომელიც საშუალებას მისცემს ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების სხვადასხვა იურისდიქციაში ტესტირებას, რაც ხელს შეუწყობს ტესტირების შედეგებზე წვდომას ქვეყნის სპეციფიკური წესებისა და მოთხოვნების გვერდის ავლით. გარდა ამისა, მოცემული პილარის ფარგლებში, ეროვნული ბანკი შუა დერეფნის განვითარების დღის წესრიგში ფინტექ ასპექტების განსაზღვრაში ლიდერის როლს ითავსებს, მაგალითად, საერთაშორისო ელექტრონული კომერციის ხელშეწყობი ფაქტორების იდენტიფიცირებასა და ამ მიზნით კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

## შემდგომი ნაბიჯები

საქართველოს ეროვნული ბანკი იწვევს ყველა დაინტერესებულ მხარეს საჯარო და კერძო სექტორებიდან, გამოაგზავნონ თავიანთი უკუკავშირი ფინტექ სტრატეგიის პროექტთან დაკავშირებით.

შენიშვნებისა და რეკომენდაციების გამოგზავნა შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: **innovationoffice@nbg.gov.ge**

შენიშვნების/რეკომენდაციების გამოგზავნის ბოლო ვადაა **2024 წლის 4 დეკემბერი**.

ამის შემდეგ ეროვნული ბანკი დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს გამართავს და მათგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით შეიმუშავებს ქვეყნის ერთიან, ყოვლისმომცველ ფინტექის განვითარების სტრატეგიას მკაფიო სამოქმედო გეგმით, რომელიც ასახავს ძირითად ინიციატივებსა და მარეგულირებელ ზომებს ფინტექ სექტორში ინოვაციებისა და ზრდის ხელშეწყობისთვის.